საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკანონობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 14 მაისი. 2020 წ. №63 (8989) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საქართველოს უდავოდ პროევროპული და პრონატოელი მთავრობა ჰყავს

The EU must draw Georgia into its arms

DISCLAIMER: All opinions in this column reflect the views of the author(s).

By Paul L. Vandoren 12-05-2020

Georgian people attend a wreath laying ceremony at the memorial to commemorate Soviet Occupation Day outside Tbilisi, Georgia, 25 February 2020. (Zurab Kurtskidze/EPA/EFE)

„ევროკავშირის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროევროპული სახელმწიფოები, როგორიც საქართველოა, კვლავ ხედავდნენ ევროკავშირს, როგორც მათ საბოლოო მიზანს,“ — აღნიშნულია გამოცემა „ევრაქტივზე“ გამოქვეყნებულ პოლ ვანდორენის სტატიაში. პოლ ვანდორენი ხორვატიასა და რუსეთში ევროკავშირის ყოფილი ელჩია.

„უფრო აღმოსავლეთით, სამხრეთ კავკასია ევროკავშირისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია. საქართველოს უდავოდ პროევროპული (და პრო-ნატო) მთავრობა ჰყავს, რომლის ლიდერები არ მალავენ, რომ მართლაც სურთ ამ ორ ექსკლუზიურ დასავლურ კლუბში გაწევრიანება“, — წერს ვანდორენი.

ხორვატიაში ევროკავშირის ყოფილი ელჩი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის ეს გეგმა ასევე ძალიან პოპულარულია საზოგადოებაშიც, რადგან მოსახლეობის 80 პროცენტი ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებას მხარს უჭერს. სტატიაში ასევე ნახსენებია 2016 წელს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც, ავტორის თქმით, საკმაოდ ამბიციური იყო.

„ეს საქართველოსთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო, რადგან მან განამტკიცა მისი ევროპული იდენტობა და მისი საგარეო პოლიტიკის სტრატეგია უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ევროკავშირს“, — წერს ვანდორენი.

იხ. 2 გვ.

ეს თუ საქართველოს გამოუვიდა, ის მსოფლიო ტურიზმის ბაზარს დაიპყრობს!

12

ნოდარ გიორგაძე: საქართველოში თითქმის ყველას დასაქმება და ღირსეული ხელფასი უნდა!

4





6

სოკოტენლ მაინც იმარჯვებს!

თუკიდიდე ათენელიდან თენგიზ ცერცვაძემდე!..

ადამიანის მარადიული მტერი

რომან რურუა - ჩემპიონთა ჩემპიონი

10

სჩ კითხულობს!..

ევროპარლამენტარი უკანონობისკენ გვიბიძგებს!

დასავლეთის ქვეყნები საქართველოში პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას ელოდებიან, — ამის შესახებ ევროპარლამენტარი გერმანიიდან, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი მაიკლ გელერი აცხადებს.

„ისინი ბედს ცდიან, კვლავ ელიან თუ არა საქართველოს დასავლელი მეგობრები პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას. დიახ, ისინი ელიან. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს“, — წერს გელერი.

მისივე თქმით, ყველა პარტიამ უნდა დაიცვას 8 მარტის შეთანხმების შინაარსი და სულისკვეთება.

„ეს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ნამდვილი ზრახვების ლაკმუსის ტესტია“, — წერს ევროპარლამენტარი „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

მაიკლ გელერი - აგრესიული ნატო

„ევროპელ პარლამენტართან ან სენატორთან დაპირისპირების ატმოსფეროს შექმნა, რასაკვირველია, საქართველოში პოლიტიკურ ველს აზიანებს და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ვიყოთ მაქსიმალურად კონსტრუქციულები, მაგრამ ყველამ იცის, რომ ევროპარლამენტარი მაიკლ გალერი, პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მოკავშირე ევროპელია“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ.

მისი თქმით, ევროპარლამენტარმა თავადაც კარგად იცის, რომ მასალები, რომელიც არსებობს, ის უნდა შეისწავლო, ნახო და ამ მასალების საფუძველზე უნდა შემდეგ ინსტანციაში დააყენო საკითხი.

„ყველას ახსოვს ევროპარლამენტარების აქტივობა, თუნდაც, რუსთავი-2-თან დაკავშირებით და სტრასბურგმა აბსოლუტურად სხვა გადაწყვეტილება გამოიტანა, ისე როგორც, სტრასბურგმა დაამტკიცა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში ადგილი ჰქონდა წამების ფაქტებს“, — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

„ჯლანავი“ საქმის ნაცვლად

თემის გაგრძელება იხ. 2-3 გვ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 მაისს

საქართველოს უდავოდ პროევროპული და პრონატოელი მთავრობა ჰყავს

(პირველი გვერდიდან)

„ევროქტივის“ სტატიაში ასევე ნახსენებია რუსეთის ფაქტორიც. „არსებობს ერთი ფაქტორი, რომელიც ყველაფერს ართულებს! — 2008 წლის ომის შედეგად, საქართველოს 20 პროცენტი რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული, იმ დროს, როცა მე მოსკოვში ევროკავშირის საელჩოში ვმუშაობდი“, — წერს ყოფილი ელჩი.

ვანდორენი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს და რუსეთის მუდმივი კიბერთავდასხმები და დეზინფორმაციის კამპანიები განზრახ არის მიმართული საქართველოს მთავრობის მიზნის, ევროკავშირთან დაახლოების შესაჩერებლად.

„ეს საკმარისი მიზანია, რათა მოხდეს დაუყოვნებელი და მოტივირებული ჩარევა ევროკავშირის მხრიდან. ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენა და ძალაუფლება მოდის მისი შესაძლებლობიდან, რომ იყოს მაგნიტი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საკუთარი წარსულის განსაცდელისგან გაქცევას ცდილობენ. განსაკუთრებით კი, ისინი, ვინც საბჭოთა კავშირის რეჟიმი გამოიარა“, — წერს ვანდორენი.

როგორც ხორვატიაში ევროკავშირის ყოფილი ელჩი წერს, ბრიუსელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, ევროკავშირს, როგორც თავიანთ მთავარ მიზანს, ისე ხედავდნენ. სტატიის ავტორი ევროკავშირს შემდეგი ნაბიჯების მონახაზსაც სთავაზობს და აცხადებს, რომ პირველი ნაბიჯი ქვეყნის საჯაროდ მხარდაჭერა და მისი მიღწევების აღიარება უნდა იყოს.

„საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა ეკონომიკურ რენესანსს ხედავს. საქართველო ამჟამად ბიზნესის თავისუფლების რანგში მეშვიდე ადგილზეა და ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 26-ს უსწრებს. ეკონომიკური თავისუფლების დონით კი, მე-12 ადგილზეა. მთავრობამ სიღარიბე 50 პროცენტით შეამცირა, მსოფლიო ბანკის თანახმად, ქვეყნის ღარიბმა მოსახლეობამ მთავრობის სოციალური პოლიტიკით და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებით ისარგებლა. ასეთი მიღწევები იმსახურებს საჯარო აღიარებას“, — წერს ავტორი.

მისი თქმით, საქართველოს მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს კორონავირუსის კრიზისის შემდეგაც.

„ინსპირაციისთვის, ფონ დერ ლაიენის კომისიამ უნდა შეხედოს ბალტიის ქვეყნებისა და ხორვატიის მაგალითს, სადაც პროდასავლური, რეფორმატორული და ევროპაზე ორიენტირებული ქვეყნებია — ჩაერთეთ, ჩაერთეთ, ჩაერთეთ“, — წერს ვანდორენი.

„რეპორტიორი“

ვაშაძე ქველებურად იმუქრება...

ოპოზიცია აბსოლუტურად ერთიანია საკუთარ პოზიციაში. ორივე საკითხი არის ის შეთანხმება, რომელიც დიპლომატების შუამავლობით იქნა მიღწეული და აუცილებლად უნდა შესრულდეს, — ამის შესახებ „ახალი საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ ჟურნალისტებს ოპოზიციის კონსულტაციების დასრულების შემდეგ განუცხადა.

„არ იქნება მხარდაჭერა საკონსტიტუციო ცვლილებებზე პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე. მათ სჭირდებათ იგივე წამალი, რამაც უშველა მარტში. ეს წამალი იქნება, მე გარანტიას გაძლევთ. კონსტიტუციით გათავალისწინებულ ყველა ზომას მივმართავთ. თუ საჭირო იქნება, ვაპირებთ აქციებსაც“, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ანალიზებს თუ არა ოპოზიცია საპროტესტო აქციების განახლებას?

დავით ბაქრაძის თქმით, საპროტესტო აქციების განახლება ქვეყანაში ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოპოზიციის კონსულტაციების დასრულების შემდეგ განაცხადა.

„საერთოდ, საპროტესტო აქციები არის სრულიად კონსტიტუციური, კანონიერი და დემოკრატიული ფორმა პოლიტიკური ბრძოლის, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სანამ ქვეყანაში ბოლომდე არ არის დასრულებული კორონავირუსის პანდემია, ჩვენი ამოსავალი წერტილი — შევუერთდებით თუ არ შევუერთდებით, დავგეგმავთ თუ არ დავგეგმავთ აქციებს, იქნება სწორედ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, ხალხის ჯანმრთელობა. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი პარტია და ჩვენ არანაირი ფორმით ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხის წინაშე არ ვაყენებთ პოლიტიკური ამოცანებისთვის“, — აღნიშნა ბაქრაძემ.

განახლდება გეგმური ოპერაციები

გეგმური ოპერაციების ჩვეული ტემპი განახლდება, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ განაცხადა. თამარ გაბუნიას თქმით, ამ ეტაპზე კლინიკის ინფექციური მართვა უკეთ შეუძლიათ, ვიდრე ეპიდემიის პირველ ეტაპზე.

„ბოლო 2-3 თვის განმავლობაში კლინიკებში მიმართვიანობა რეალურად შემცირდა. შემცირდა ძირითადად გეგმური შემთხვევების ხარჯზე, რომელთა გადავადებაც შესაძლებელი იყო. გადავადების გადაწყვეტილება მიიღეს თავად პაციენტებმაც. ამ შემთხვევაში არ იყო ნამდვილად რეკომენდებული გეგმური ჩარევების ინტენსიური ჩატარება, იმის გამო, რომ ჩვენ ინფექციის გავრცელების მაღალი რისკის წინაშე ვიყავით. ახლა, როდესაც ეს რისკი შედარებით შესუსტდა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია და კლინიკების მზაობაც ინფექციის კონტროლის კუთხით მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ეს იყო ეპიდემიის დასაწყისში, უკვე, რა თქმა უნდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გეგმური ოპერაციების ჩვეული ტემპი განახლდება და პაციენტები დაუბრუნდებიან კლინიკებს გეგმური ჩარევისთვის“, — განაცხადა გაბუნიამ.

ტრანსპორტის ზეგავლენის შეფასება და ახალი მშენებლობები

სამშენებლო-დეველოპერულ კომპანიებს ტრანსპორტის ზეგავლენის შეფასების მომზადების ვალდებულება ეტაპობრივად მოეხსნებათ, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული პროცესის დაკვირვებასა და შემდგომ უკვე გადაწყვეტილების მიღებას თბილისის მერია დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე განახორციელებს.

„დაახლოებით, ორი წლის წინათ ჩვენ შემოვიღეთ ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება, ყველა სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის, რათა მიგვეღო სრული ინფორმაცია, რამდენად გამტარუნარიანია კონკრეტული ქუჩა, როდესაც ახალაშენებულ კორპუსში პირობითად, 500 ოჯახი შესახლდება. ამას წლების განმავლობაში დეველოპერებს არავინ სთხოვდა. ჩვენ დავიწყეთ მოთხოვნა ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასების, რაც გვაძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ სწორად განგვესაზღვრა, რამდენად შეესაბამებოდა ინვესტორის მხრიდან მოთხოვნილი პროექტი არსებულ და სამომავლო მდგომარეობას. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, მთელი ქალაქის მასშტაბით, უკვე გვაქვს სრული ინფორმაცია, რომ თავად განვსაზღვროთ, თუ რა მასშტაბის პროექტები უნდა განხორციელდეს, როგორი იქნება სატრანსპორტო შეფასება კონკრეტულ პროექტებზე. აქამდე ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასების გაკეთებას ინვესტორს, დეველოპერს ვთხოვდით. მერიაში ორი წლის განმავლობაში დაგროვდა საკმარისი მონაცემები, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ამიერიდან, ეს დამოკიდებულება შევცვალოთ, თითოეული წარმოდგენილი მოთხოვნის დაკვირვება თავად ვაწარმოოთ და გადაწყვეტილებაც მივიღოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ექიმის სკანდალური პოსტი

ყველაზე თავხედები ცდილობდნენ, პერსონალისთვის კორონავირუსის გადადების საფრთხე შეექმნათ!

კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების ნაწილი, ბოჭორიშვილის კლინიკაში მედპერსონალისთვის ვირუსის გადადებას ცდილობდნენ. ამის შესახებ კლინიკის გენერალურმა დირექტორმა **დავით გადელიამ** სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა.

უფრო მეტიც, ექიმის თქმით, ამ პაციენტებმა დაანგრიეს და გააოხრეს, რასაც შეეხნენ. სარგებლობდნენ იმით, რომ პატრუელი ვერ შედის ადვილად ბოქსებში, ლანძღავდნენ პერსონალს და გამოთქვამდნენ ეჭვს, ხომ არ იყენებენ გამოსაკვლევად აღებულ მათ სისხლს სხვა დაავადებულების სამკურნალოდ.

გადელიამ ასევე მადლობა გადაუხადა იმ პაციენტებს, რომლებმა მოთმინება, გაგება და საამოქალაქო შეგნება გამოიჩინეს. მისივე თქმით, ასეთი პაციენტები უფრო მეტად დააფასა.

„ოდა პაციენტს!

ავადმყოფობა, ფიზიკურ უძლურობასთან ერთად, სულიერი მდგომარეობაცაა. თანაც განსხვავებული, ვიდრე ჯანმრთელი მდგომარეობისას. ამავე დროს, გარკვეულწილად სტატუსიცაა როგორც ოჯახის შიგნით, ასევე საზოგადოებაში. სტატუსი ადამიანის, რომელიც მომეტებულად საჭიროებს ყურადღებას და ზრუნვას.

ვერ გეტყვით, რომ დაავადებისას მთლიანად იცვლება ადამიანი (ცხადია, გააჩნია ავადმყოფობას!) და ანდაზა „კოკასა შიგა რაცა დგას, იგივე გადმოდინდების!“ — არ ესადაგება, მაგრამ ხშირადაა ცვლილებები: პრეტენზიულობა, გაეგოისტება, ზოგჯერ დეპრესია, აგრესიულიბა და ა.შ. ძალზედ მნიშვნელოვანია ამ დროს პაციენტისა და ექიმის ურთიერთგაგება, რაც ნდობაზე, ურთიერთპატივისცემასა და თანაგანცდაზეა დამყარებული. სწორედ ამ დროს წარმოიშვება ის განსაკუთრებული ემპათია, რომელიც საჭიროდ მორგებულ მედიკამენტებთან ერთად, ძალიან უწყობს ხელს გამოჯანმრთელების პროცესს. ასეთი დამოკიდებულების შემთხვევაში, პაციენტი და ექიმი სიცოცხლის ბოლომდე რჩებიან საუკეთესო, ამავე დროს, მოწიწებამდე საპატივცემულო მეგობრებად. ვერ წარმოიდგენთ, რა ემართება ასეთი პაციენტის ექიმს, დაავადებასთან დამარცხების შემთხვევაში. ისეთი განცდაა, თითქოს ოჯახის წევრივით უახლოესი მეგობარი დაკარგაო!.. ხშირად მინახავს ეს მდგომარეობა და ჩემი აზრით, სწორედ ამის გამოა ექიმთა პროფესია სიცოცხლისთვის მაღალი რისკის შემცველად აღიარებული. სწორედ ეს წუხილი გვაბერებს ნაადრევად.

პაციენტებს შორის ქცევითი თვალსაზრისით განსხვავება ყოველთვის იყო და იქნება. მაგრამ ამ კოვიდ-19-ის ეპიდემიის დროს, კლინიკაში ხანგრძლივად დაყოვნების, ოჯახის რამდენიმე წევრის ერთად ავადობის, თავად ამ დაავადებისადმი მსოფლიოს და ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულების გამო, განსაკუთრებით გამოიკვეთა და თვალსაჩინო გახდა ქცევის კულტურა. პაციენტების უმრავლესობა, ზოგჯერ მთელი ოჯახი, უდრტვინველად იტანდა თვეზე მეტხანს ამ უნებლიე ტყვეობას. იცავდა შინაგანაწესს, ექიმთა დანიშნულებას. წასვლისას დიდი მადლიერების გრძნობით დაგვემშვიდობნენ, რაც გამოხატეს კიდეც მასმედიით და ფეისბუქით. ამავე დროს, გამოხატავენ მზადყოფნას, დაეხმარონ სხვა პაციენტებს, კლინიკას. გაიღონ სისხლი პლაზმისთვის, თუ ეს საჭირო გახდა სხვათა დასახმარებლად. მათ მინდა ოდა მივუძღვნა! მინდა ვიმეგობრო! მინდა მუდმივი ჯანმრთელობა ვუსურვო და არაკლინიკურ ვითარებაში მქონდეს ურთიერთობა! ესენი არიან ადამიანები, ვინც თავსაც არგებენ ექიმთა დაჯერებით, სხვისი შრომის დაფასებაც იციან და იმათი დახმარებაც უნდათ, ვინც შემდგომში მათ ადგილას იქნება!

...განსაკუთრებით იმიტომაც დავაფასე ეს პაციენტები, რომ არსებობენ სხვანაირებიც.. მთელი კლასტერი გამოჩნდა პაციენტების, რომელთა არსებობას საქართველოში ვერც დავიჯერებდი.. დაანგრიეს და გააოხრეს, რასაც შეეხნენ. სარგებლობდნენ იმით, რომ პატრული ვერ შედის ადვილად ბოქსებში. ლანძღავდნენ პერსონალს და გამოთქვამდნენ ეჭვს — „ხომ არ იყენებენ გამოსაკვლევად აღებულ მათ სისხლს სხვა დაავადებულების სამკურნალოდ (ცხადია, აბსურდია, თუმცა, მათი ჭკუით ეს რომც გვექნა, საშინელი სიბოროტე იქნებოდა!)?“..ყველაზე თავხედები კი ცდილობდნენ შეექმნათ პერსონალისთვის დაავადების გადადების საფრთხე!.. და, რა თქმა უნდა, მუდმივი უკმაყოფილება, რომ ამდენ ხანს ვაკავებთ, სახლში კი უკეთესი სადილი აქვთ!..

იყავით ჯანმრთელად, მაგრამ თუ პაციენტობა მოგიწევთ, ენდეთ მკურნალებს! მოთმინებით გადაიტანეთ ეს დრო, გამოჯანმრთელდებით! იყავით სულგრძელნი სამედიცინო პერსონალისადმი და მათზე უკეთესი მეგობრები არ გეყოლებათ! ერთ-ერთი მათგანი კი, ოდასაც მოგიძღვნით!“, — წერს დავით გადელია.

„ჯღანავი“ საქმის ნაცვლად

ᲯᲔᲠ ვიფიქრე, ამ ე.წ. პოლიტპატიმრებზე დავწერ-მეთქი, მაგრამ რა უნდა გითხრათ ახალი? თქვენც ძალიან კარგად იცით, როგორი პოლიტპატიმრებიც გვყავს (ერთბაშად იატაკქვეშა მუშაობისთვის და პროკლამაციების ბეჭდვისთვის არ იყვნენ დაპატიმრებული).

მერე ვიფიქრე, იმ „წერილებზე“ ვიტყვი ორ სიტყვას, ვიღაც უსაქმურები რომ წერენ ხელისუფლებას, მაგრამ ეგეც გადავიფიქრე — წერონ და იკითხონ, ამ პანდემიის დროს გაერთობიან და ამ „ჩვენი“ კორონაცებისგან ერთ-ორ კაპეიკს იშოვიან.

სოფლის მეურნეობის პროგრამა თუნდაც იმიტომ არის კარგი, რომ შემოდგომაზე არჩევნების შემდეგ უამრავ „პოლიტიკოსს“ დასაქმების რეალური შანსი გაუჩნდება, ალბათ, ხვდებით.

მიHას და ზელენსკის ურთიერთობა რომ მაგრად „მეკიდა“, კი იცით.

ჰოდა, ახლა მეორე გვერდზე გადავბრუნდები და იმ კარგი სერიალის ნახვას გავაგრძელებ.

არადა, როცა 2020-ის არჩევნებთან მიმართებაში ამ ე.წ. ოპოზიციის ისტერიკას ვუყურებ, ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება — ერთმა ჯიგარმა ნაშა დაითრია. ხან ანეკდოტები მოუყვა, ხან ლექსები წაუკითხა. სადღეგრძელოებიც წარმოთქვა. ამ ნაშას ამოუვიდა ყელში და ეუბნება - შენ ბიძია „შიშმატი“ კი არა, „ჯღანავი“ გდომებიაო.

ნამდვილმა ოპოზიციამ თავის დროზე განაცხადა, რომ მსგავს რამეზე არანაირი ხელმოწერა არ ყოფილაო და დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი შეთავაზება რომ ყოფილიყო, პირველი ისინი დაუპირისპირდებოდნენ ასეთ უკანონობას.

ირმა ინაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი განცხადება გააკეთა — ელჩების ინიციატივით იმართებოდა შეხვედრები საარჩევნო სისტემის თემაზე! ხაზს ვუსვამ: საარჩევნო სისტემის თემაზე! და ამ შეხვედრებს ყველა საპარლამენტო პარტია ესწრებოდა და არამარტო საპარლამენტო. მე ვადასტურებ, რომ ამ შეხვედრებზე ნაცმოძრაობაც და ბოკერიას პარტიაც, ასევე, მათ ირგვლივ გაერთიანებული პარტიები ნამდვილად გადადიოდნენ სხვა საკითხზე. კერძოდ, უგულავას გათავისუფლების საკითხზე და არამარტო უგულავასი. ასევე, ითხოვდნენ პირად ხელშეუხებლობას. მაგალითად, ბოკერია. მე ვადასტურებ, რომ ამ შეხვედრებზე (ჩემი თანდასწრებით) არც არჩილ თალაკვაძე და არც ირაკლი კობახიძე არ დათანხმებულან!

მე ასევე ვადასტურებ, რომ შეხვედრები იყო ჩემ გარეშეც, ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩემ გარეშეც. დაბოლოს, მე ვადასტურებ, რომ 8 მარტის შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო დოკუმენტი, რომლის მეორე პუნქტი, ჩემი აზრით, იყო ძალზედ ბუნდოვანი, არ ეხებოდა საარჩევნო სისტემას. ამ პუნქტში საკაშვილ-ბოკერიას პარტიები გულისხმობდნენ უგულავას და არამარტო უგულავას გათავისუფლებას და ამას ღიად ამბობდნენ, ხოლო „ქართული ოცნება“ ამბობდა, რომ ამ პუნქტში სულ სხვა რამეს გულისხმობს. ყველასათვის ცნობილია, რომ მე არ მოვაწერე ხელი ამ მეორე პუნქტს, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ მოაწერა და რას და რატომ მოაწერა ხელი, იმედია, ამაზე განმარტებას თავად გააკეთებენ“, — აცხადებს ინაშვილი.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ელჩების შუამავლობით გამართული დიალოგი 8 მარტს საარჩევნო სისტემაზე შეთანხმებით დასრულდა. მხარეებმა მიიღეს მემორანდუმი, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი პროპორციული წესით არჩეული 120 და მაჟორიტარული წესით არჩეული 30 დეპუტატისგან შედგება.

დიპლომატებმაც საკმაოდ მკაფიოდ განმარტეს იმ განცხადების არსი — 8 მარტის შეთანხმება იყო ქართული პოლიტიკური ძალების მიერ მიღწეული ისტორიული მნიშვნელობის წარმატება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პოლიტიკური სისტემის დეპოლარიზაციასა და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის უკეთესი გარემოს შექმნას, მას შემდეგ, რაც დაპირებული საკონსტიტუციო ცვლილებები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებასთან დაკავშირებით ვერ განხორციელდა. ჩვენ, როგორც დიალოგის ფასილიტატორებმა. ხელი შევუწყვეთ დისკუსიის პლატფორმის შექმნას, რომელიც ემსახურებოდა ნდობის შენებას და საშუალებას აძლევდა მონაწილეებს, წასულიყვნენ რთულ დათმობებზე. ჩვენი როლი არ გულისხმობს განხილვების შინაარსის გასაჯაროებას ან შეთანხმების განმარტებას.

მიღწეული შეთანხმება საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია. ის ერთნაირად მოიწონა როგორც ქართველმა ხალხმა, ასევე საერთაშორისო საზოგადოებამ. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ შეთანხმება შედგება ორი ნაწილისგან: ᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, სრულად დაიცვან შეთანხმების ორივე ნაწილი, რათა ის წარმატებით განხორციელდეს.

საარჩევნო სისტემაზე მემორანდუმის გარდა, მხარეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება მართლმსაჯულების სისტემაში უმაღლესი სტანდარტების დაცვის მნიშვნელობაზე. ამასთან, ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ შეთანხმება შედგა გიგი უგულავას, გიორგი რურუასა და ირაკლი ოქრუაშვილის გათავისუფლებაზე.

მას შემდეგ, რაც 13 აპრილს ირაკლი ოქრუაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, განცხადება გაავრცელეს როგორც აშშ-ის საელჩომ საქართველოში, ისე ევროკავშირის ელჩმა. პირველი მათგანი ყველა მხარეს შეთანხმების დაცვისაკენ მოუწოდებდა, ევროკავშირის ელჩი კი აღნიშნავდა, რომ აღნიშნული მოვლენები **„შეიცავს პოლიტიკური პოლარიზაციის კვლავ გაზრდის რისკს შეთანხმების განხორციელების გადამწყვეტ მომენტში“.**

როგორც ვხედავთ, რომელიმე პატიმრის უპირობოდ გათავისუფლება არამც თუ ჩაწერლია იმ დოკუმენტში, არამედ მინიშნებითაც კი არ არის რაიმე ნათქვამი.

მივმართავ კორონაცებს: ის „მოთხოვნები“, რომლებზეც აპელირებთ და რომლებიც ვითომდა 8 მარტის შეთანხმებაში იყო ჩაწერილი, და რომელსაც ვითომდა ხელი მოაწერეთ, პირველ რიგში თქვენი მხრიდან, ხელმომწერთა მხრიდან არის კონსტიტუციის და კანონის დარღვევა.

ე.ი. თქვენ აღიარებთ, რომ მოითხოვთ ხელისუფლება ჩაერიოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში, გაათავისუფლოს პატიმრები და ამ მოთხოვნას ხელს აწერთ?

თვითმფრინავის გამტაცებელი ტერორისტებიც ზუსტად ასე იქცევიან. უბრალოდ, თქვენ იარაღის გამოყენების „ტრ@@აკი“ არა გაქვთ და ამ „დემოკრტიულ“ ფორმატში „მუშაობთ“.

დიახ, პირდაპირ გეუბნებით, რომ ის რაზეც ახლა „საუბრობთ“, არის კანონის დარღვევა და ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და უკანონო მოთხოვნები დროულად აღკვეთოს.

ეგ შანტაჟი კი, რაც აქამდე ბევრჯერ გაგსვლიათ, აღარ გაგივათ.

აღარ გაგივათ, რადგან თქვენ ამ მარაზმით უკვე ხელისუფლებას კი არა, საქართველოს მოსახლეობის დაშანტაჟებას ცდილობთ. ეს კი ჰოოო, უკვე მოუკრეფავში გადასვლაა და რა შედეგებს მოგიტანთ, მე არ გეტყვით. თუ ფიქრის უნარი შეგრჩენიათ, თავად დაფიქრდით და, ალბათ, მიხვდებით.

აშკარად ჩანს, რომ თქვენ არჩევნების ჩაშლა გინდათ. გინდათ, რადგანაც კარგად იცით, რომ რაიმე სახის წარმატებას კი არა, სამი თითის კომბინაციას მიიღებთ.

მილიონჯერ მაქვს დაწერილი, ნათქვამი და ყველამ უჩემოდაც ძალიან კარგად იცის, რომ იმ 30-ზე მეტ „პოლიტიკურ ძალას“, რომლებიც ვითომდა დემოკრატიისთვის „იბრძვიან“, არცერთ რეგიონში ადგილობრივი ორგანიზაცია არა აქვთ და რა ადგილობრივ ორგანიზაციებზეა საუბარი, როცა ჯამში 15 წევრსაც ვერ „მობოჭავენ“ (იმერული სიტყვაა და შეგროვებას ნიშნავს).

ჩვენო „ოპოებო“, როგორც გიყურებთ, თქვენ არჩევნები, ან საქმის კეთება კი არა, მართლა ჯღანავი გდომებიათ. ჩვენ კიდე თქვენი ფოკუსებისთვის ნამდვილად არ გვცალია.

წერილის ბოლოს კი მინდა ვთქვა — მაპატიეთ, თუ ხშირად არ ვარ პოლიტკორექტული. მაპატიეთ, რადგანაც ოქრუაშვილს, უგულავას და მითუმეტეს რურუას პოლიტპატიმარს ვერ დავარქმევ, ეკა ბესელიას და ჩუგოშვილს — საქართველოსთვის უანგაროდ მოღვაწე პოლიტიკოსებს. ვერასდროს ვიტყვი რომ ჭყონია, ან ხაზარაძე — ბიზნესმენები და ქუცნა, გუგულა და გიგი წერეთელი ის კანონმდებლები არიან, რომელთა აზრი ჩემი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი იქნება. ნოდარ მელაძე, კვესო, მათე კირვალიძე და მათი კლასტერის წევრები ჩემთვის ჟურნალისტები ვერასდროს იქნებიან. ბოკერია და „გავლენიანი არასამთავრობოები“ — საქართველოს ცივილიზებულ გზაზე დამყენებელნი და ადმინისტრაციული რესურსის ძალიან ბევრი წარმომადგენელი — ხალხზე მზრუნველი ჩინოვნიკი.

არცერთი ამ „თიმის“ (გუნდის) წარმომადგენლის არ მეშინია და არც არანაირი პატივისცემა მაქვს.

დამერწმუნეთ, რომ ასე საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს და თავის არჩევანს, მათი უსაგნო „ჯღანავის“ მიუხედავად, შემოდგომაზე თავის არჩევანს მაინც გააკეთებს.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡᲝᲓ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲡ

„ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ, ოქრუაშვილისა და რურუას საკითხი ოპოზიციის ნაწილის მხრიდან ოთხივე მოლაპარაკების დროს მართლაც გაჟღერდა, ოთხივე შემთხვევაში მათ მიიღეს მკაფიო პასუხი ჩვენგან, რომ აღნიშნული პატიმრების გათავისუფლება ვერავითარი ფორმით ვერ გახდებოდა პოლიტიკური მოლაპარაკებისა და შეთანხმების საგანი“, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის მიღწეულ შეთანხმებაზე საუბრისას განაცხადა.

„თქვენ მეკითხებით, რატომ ითხოვენ გათავისუფლებას, თუ არ ყოფილა ასეთი შეთანხმება — გპასუხობთ, ჩვენ წარმატებით დავასრულეთ ეს მოლაპარაკებები, ოპოზიციამ კი დაინახა, რომ ამ პატიმრების საკითხის შეთანხმებაში შეტანა ვერ შეძლეს. მათ დარჩათ ვალდებულებები თანაპარტიელებთან და საკუთარ რადიკალურ მხარდამჭერებთან. ამ ვალდებულებებს ვერსად გაექცეოდნენ და ამით აიხსნება მათი განცხადებები — თვითგადარჩენისთვის 8 მარტის შეხვედრის დასრულებისთანავე სასწრაფოდ გააკეთეს განცხადებები და სათავისოდ თარგმნეს შეთანხმება, რომელშიც სინამდვილეში ამ საქმეებზე და პატიმრების გათავისუფლებაზე არ წერია. ჩვენ თავიდანვე და შემდეგაც არაერთხელ ვთქვით, რომ ეს არ შედიოდა შეთანხმებაში — 8 მარტსვე გაკეთდა ჩვენი მხრიდან ამომწურავი განმარტება.

რამდენიმე მონაწილეს ვხედავ მანიპულირებენ ფრაზებით — ხშირად იმეორებენ „ამაზე იყო საუბარი“ ან „ეს საკითხი იყო განხილული“, — ეს არის მანიპულაცია და დემაგოგია. მიუხედავად იმისა, რომ უგულავას, ოქრუაშვილისა და რურუას საკითხი ოპოზიციის ნაწილის მხრიდან ოთხივე მოლაპარაკების დროს მართლაც გაჟღერდა, ოთხივე შემთხვევაში მათ მიიღეს მკაფიო პასუხი ჩვენგან, რომ აღნიშნული პატიმრების გათავისუფლება ვერავითარი ფორმით ვერ გახდებოდა პოლიტიკური მოლაპარაკებისა და შეთანხმების საგანი“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

...ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲔᲡ არის ჩვენი მეგობრების მოსაზრება და მზად ვართ, ნებისმიერი დისკუსიისთვის, — ასე ეხმაურება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აშშ-ის სენატორ ჯიმ რიშისა და კონგრესმენ ადამ კინზინგერის განცხადებებს.

არჩილ თალაკვაძის თქმით, კონგრესმენებმა საკუთარ განცხადებებში პრიორიტეტად დასახეს ის, რომ ორივე მხარემ შეასრულოს შეთანხმება. **„ადამ კინზინგერმა გამოთქვა მოლოდინი და ორივე განცხადებაში პირველ პრიორიტეტად არის დასმული, რომ ისინი მოუწოდებენ მხარეებს, შეასრულონ შეთანხმება. რადგან ორივეს მოუწოდებენ და არამხოლოდ მმართველ გუნდს, ნიშნავს, თვლიან, რომ ამ სიტუაციაში ოპოზიციასაც აქვს პასუხისმგებლობა და მუქარა, რომ ჩააგდებენ შეთანხმებას, საფრთხის შექმნა ამ შეთანხმებისთვის მიუღებელია“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

რაც შეეხება სენატორ რიშს, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ჯიმ რიშიც მხარეებს შეთანხმების სრულად შესრულებისკენ მოუწოდებს. მისივე თქმით, ე.წ. პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, მასა და სენატორს განსხვავებული პოზიციები აქვთ და მზად არის, არგუმენტების წარსადგენად.

ნოდარ გიორგაძე: საქართველოში თითქმის ყველას დასაქმება და ღირსეული ხელფასი უნდა!

რას სთავაზობს სლოვაკეთის მთავრობა ბიზნესს და როგორია საქართველოს მთავრობის შეთავაზება



ევროპის კონტინენტზე, სადაც არაერთ ქვეყანაში კორონავირუსით დაავადების 100 000 შემთხვევაზე მეტი დაფიქსირდა, ნელ-ნელა იწყებენ პრევენციული ზომების შედეგად მიღებულ საკარანტინო რეჟიმის შემსუბუქებას. გამონაკლისი არც სლოვაკეთია, ქვეყანამ, სადაც კორონავირუსის 1,455 დადასტურებული შემთხვევაა უკვე გახსნა მაღაზიები, მუშაობა განაახლეს მუზეუმებმა, რესტორნები კი კლიენტებს ღია ცის ქვეშ იღებენ. გარდა ამისა, ეკლესიებში დაშვებული იქნება ღვთისმსახურება და საქორწინო ღონისძიებები.

ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების ნებართვას ელოდება სლოვაკეთში მოღვაწე ბიზნესმენი **ნოდარ გიორგაძეც**. 2 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თერმული კურორტი „gino paradise ბეშენოვა“ სტუმრებს ველარ იღებს, არადა, ოთხი სეზონის კურორტი როგორც წესი წელიწადში 600 000 ტურისტს მასპინძლობს. „gino paradise“ მფლობელი და მმართველი „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ კომპანიას უდიდესი ზარალი მიაყენა, თუმცა ბიზნესმენს მოლოდინი აქვს, რომ 1 ივნისიდან „gino paradise ბეშენოვა“ გაიხსნება და სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. გარდა ამისა, ნოდარ გიორგაძეს იმ ეკონომიკური მხარდაჭერის იმედი აქვს, რომელსაც სლოვაკეთის მთავრობა ბიზნესს სთავაზობს. „gino ჰოლდინგის“ მფლობელი მედიაჰოლდინგთან დეტალურად საუბრობს ყველა იმ ქმედითი ნაბიჯის შესახებ, რომელიც ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით სლოვაკეთში გადაიდგა.

„სლოვაკეთში პირდაპირ დასაქმებული გვყავს 250 ადამიანი, ხოლო დაახლოებით 400 ადამიანი ირიბად მუშაობს, მომწოდებელი ორგანიზაციების სახით. არც ერთ თანამშრომელს სამსახური არ დაუკარგავს, ყველა გადავიყვანეთ ნახევარ ხელფასზე. ეკონომიკა ნელ-ნელა იწყებს მოქმედებას, უკვე გაიხსნა სავაჭრო ობიექტები, მიმდინარე კვირას იხსნება მსხვილი სავაჭრო ცენტრები, მშენებლობა პრაქტიკულად არც გაჩერებულა, ჩემს ობიექტზე ყოველდღიურად 150-200 ადამიანი მუშაობდა და ახლაც მუშაობს. რაც შეეხება ეკონომიკურ მხარდაჭერას, აქ სერიოზული მხარდაჭერაა, გამოიყო ყოველთვიურად ნახევარი მილიარდი ევრო კრედიტების სახით ბიზნესზე გასაცემად გამარტივებული ფორმით, რომ კერძო სექტორმა აიღოს კრედიტი სახელმწიფო გარანტიებით, იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ შეძლო და არ შეამცირა თანამშრომელთა რაოდენობა, მაშინ კრედიტის პროცენტს ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო იხდის, საკმაოდ საინტერესო სქემაა. პლუს ხელფასებს რასაც გავცემთ, იმის 80 პროცენტის რეფინანსირებას გვიკეთებს სახელმწიფო. ეს საკმაოდ სერიოზული დახმარებაა ბიზნესისთვის. ვფიქრობ, რომ პროცესი ამ თვის ბოლომდე გაგრძელდება, რადგან მაისის ბოლოს სლოვაკეთში ყველაფერი იხსნება, მათ შორის აკვაპარკები, დახურული სპორტული მოედნები, თეატრები, კინოთეატრები, პრაქტიკულად ყველაფერი იხსნება. რა თქმა უნდა, ეკონომიკა სწრაფად ვერ დაიწყებს მუშაობას, დრო სჭირდება მას. მსხვილი საავტომობილი კომპანიები როგორიც არის იაგური, პეჟო, კია და სხვები, პრაქტიკულად ყველა ამუშავდა და დაიწყეს წარმოება, ჯერ შემცირებული წარმატებით, მაგრამ ნელ-ნელა უმატებენ ტემპებს“, — განაცხადა ნოდარ გიორგაძემ.

„gino ჰოლდინგის“ მფლობელი და მმართველი მიიჩნევს, რომ კორონავირუსთან ბრძოლის კუთხით, როგორც სლოვაკეთი არის ევროპაში საუკეთესო, ასევე საქართველოა რეგიონში საუკეთესო მაჩვენებლებით წარმოდგენილი. თუმცა, ნოდარ გიორგაძე ამბობს, რომ საქართველოს ეკონომიკიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები ეკონომიკის აღორძინების კუთხით არ არის ისეთი მასშტაბური, როგორც სლოვაკეთის მთავრობის.

„სამწუხაროდ სლოვაკეთის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების მსგავსი საქართველოში არ გადადგმულა, გულსატკენია, რა თქმა უნდა, რომ იდენტურ დახმარებას სახელმწიფო ვერ უწევს ბიზნესს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა და მისი შესაძლებლობები, აიღოს კრედიტები. მაგალითად, სლოვაკეთმა ევროკავშირისგან ყოველთვიური 2-მილიარდიანი დახმარება მიიღო, რა თქმა უნდა, ეს ვალია, დაბრუნება სჭირდება, მაგრამ ეს არის უპროცენტო სესხი, რომელსაც ვადებიც კი არ აქვს ჯერ გაწერილი. სასურველი იყო, სლოვაკეთსაც იგივე სისწრაფით ემოქმედა, როგორც გერმანიას სესხების გაცემის კუთხით, მაგრამ აქ თებერვალში საპარლამენტო არჩევნები დაემთხვა, პრაქტიკულად, მთავრობა შეიცვალა, ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე, მთავრობას უჭირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. მიუხედავად ამისა, მათ დაძლიეს ეს ნიუანსები და სესხების გაცემა უკვე დაწყებულია“, — განმარტავს ნოდარ გიორგაძე.

სლოვაკეთში მოღვაწე წარმატებული ბიზნესმენი აცხადებს, რომ ქვეყანას არა ხელისუფლება და ბიუჯეტი, არამედ ბიზნესი ამოძრავებს. ნოდარ გიორგაძე განმარტავს, რომ ბიზნესმა უნდა შექმნას ფული და ამ ფულმა უნდა შექმნას მოსახლეობის კეთილდღეობა და არა სახელმწიფომ შექმნას ფული და ის ფული დაარიგოს. მისი თქმით, ეს არ არის სწორი. „gino ჰოლდინგის“ მფლობელს აქვს იმის მოლოდინი, რომ საქართველოს მთავრობა ბიზნესის მხარდასაჭერად ეფექტურ ნაბიჯებს გადადგამს.

„საქართველოს მთავრობის მხრიდან პირველ რიგში ველოდები, რომ ჯანმრთელად იყვნენ, დღეს ესაა მნიშვნელოვანი, მაგრამ მეორეს მხრივ, ჯანმრთელი იყო და შიმშილისგან გახდე ავად, ეს მეორე უკიდურესობაა. ძალიან რთულია მსგავს სიტუაციებში ოქროს შუალედის პოვნა, მაგრამ ეს ოქროს შუალედი აუცილებლად უნდა მოძებნოს. მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს მთავრობა ამას მოახერხებს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში დაახლოებით 240 მლნ ლარამდე მაქვს ჩადებული, მოლოდინი ნამდვილად მაქვს იმის, რომ სახელმწიფო იმ ბიზნესმენებს, რომლებიც რეალურად უდგანან მხარში ქვეყანას, ასაქმებენ ადამიანებს, ზრდიან ეკონომიკის პოტენციალს, ამაღლებენ საქართველოს იმიჯს. ასეთ ბიზნესს ხელისუფლება უნდა დაუდგეს გვერდში, ამის გარეშე არაფერი გამოვა, ცალმხრივ დახმარება კონკრეტულ პიროვნებებზე ვერ წასწევს ქვეყანას წინ. ეჭვი არ მეპარება, რომ მოსახლეობას დღეს პრობლემები შეექმნა , ვიცი რომ 99 პროცენტი მზადაა ფული კი არ აიღოს, არამედ დასაქმდეს და ღირსეული ხელფასი მიიღოს. ეს არის სწორი და მართებული გამოსავალი, არ არის მარტივი, მაგრამ შესაძლებელია ამის გაკეთება და მე მწამს, რომ მთავრობა ამას მოახერხებს“, — აცხადებს ნოდარ გიორგაძე.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ დღეს ქვეყანას გადარჩენა სჭირდება. მისი თქმით, თუ ხვალ სწორი ნაბიჯები არ გადაიდგა, ადამიანები ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ბიზნესმენის განმარტებით, საქართველოს მთავრობამ ის ფინანსური რესურსი, რომელიც მათ აქვთ, თუ სწორად არ გამოიყენა, უახლოეს პერიოდში საქართველოს მძიმე ეკონომიკური დღეები ელოდება.

„არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში, რადგან ჭეშმარიტება არის ერთი, არ აქვს ადამიანს სამსახური? უკვე იწყება პრობლემა, რომელიც კონკრეტული პიროვნებიდან გადადის ოჯახზე, ახლობელზე და საბოლოოდ, ქვეყნის პრობლემა ხდება. ძალიან მარტივი იყო, მეთქვა თანამშრომლებისთვის — მეგობრებო, წადით სახლებში და დაველოდოთ რა მოხდება მაისში, მაგრამ ვერ გავაკეთე ეს ვერც სლოვაკეთში და ვერც საქართველოში, რადგან ამდენი ოჯახის შემოსავლის გარეშე დატოვება წარმოუდგენელია. სანამ შესაძლებლობა გამაჩნია და მაქვს ფინანსური გარკვეული კაპიტალი, არ ჩავთვალე სწორად, უფრო მეტიც 150 000 ლარი stopcov ფონდში გადავრიცხე, ხოლო 50 000 ლარი თანამშრომლებზე დახმარების სახით გადავანაწილე, მაგრამ ეს მუდმივად ვერ გაგრძელდება, საკმარისია კიდევ ორი-სამი თვე, ნებისმიერი ადამიანი დაეცემა, მდიდარიც და ღარიბიც. ყველა რომ გავღარიბდეთ, მაგით ქვეყანას ეშველება? უმთავრესია სამუშაო ადგილები, ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, იმუშაოს და არა ხელგამოწვდილი იჯდეს და ელოდოს ვინ, როდის, რას მიაწვდის“, — განაცხადა ნოდარ გიორგაძემ.

ბაჩო ადამია

ენტონი ფაუჩის მოკითხვა თენგიზ ცერცვაძეს...

სატელეფონო საუბრებში ყოველთვის დადებით, მაღალ შეფასებებს ვიღებთ, მაგრამ ფაუჩის წერილი სულ სხვა იყო, რადგან ის მსოფლიოში ნომერ პირველი ფიგურაა, — ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა **თენგიზ ცერცვაძემ** განაცხადა.

„საქართველოს მიმართ შეფასებები ძალიან პოზიტიურია. ამაზე შესედულება ერთმნიშვნელოვანია. მე არ ვგულისხმობ იმ ცალკეულ სკეპტიკოსებს, რომლებსაც თვითონაც არ სჯერათ თავიანთი ნათქვამის, მაგრამ რაღაც მოსაზრებების გამო ვალდებული არიან, რაღაც შენიშვნები გამოთქვან. თუ ამას არ ჩავთვლით და ჩავთვლით უდიდესი უმრავლესობის აზრს, შეფასებები ძალიან პოზიტიურია. რამდენი შეიძლება, ჩამოითვალოს ამერიკული გამოცემა „ფორინ პოლიესიდან“ (Foreign Policy) დაწყებული, ჯანმოს მიერ ჩვენი ხელმძღვანელობისადმი გამოგზავნილი ოფიციალური წერილებით დამთავრებული. რა ვიცი, უამრავი კერძო თუ ოფიციალური შეფასება აქვს საქართველოს მიღებული. პირადად მე ბევრი პარტნიორი მყავს უცხოეთში და სატელეფონო საუბრებში ყოველთვის დადებით, მაღალ შეფასებებს ვიღებთ, მაგრამ ფაუჩის წერილი სულ სხვა იყო“, — განაცხადა ცერცვაძემ.



თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ პირადად მიიღო წერილი აშშ-ის ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელისგან ენტონი ფაუჩისგან, სადაც ის წერს, რომ კორონავირუსის აფეთქებას საქართველო კარგად უმკლავდება და ამ კუთხით ქვეყნის გამოცდილებას მაღალ შეფასებას აძლევს.

„თქვენ იცით, რომ ის თვით ტრამპსაც კი არ უწევს ანგარიშს, რამდენიმეჯერ შეეკამათა და ტრამპი დაემორჩილა. კაცი, რომელიც არავის ემორჩილება. ტრამპი შეიძლება, აფეთქდეს და ვინც არ მოეწონება, საერთოდ მოხსნას სამსახურიდან, მაგრამ ფაუჩის ამას არ ჰკადრებს. ის მას ძალიან დიდ ანგარიშს უწევს და შეკამათების მიუხედავად, ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებს. რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანისგან არა რამეთი გამოწვეული, არამედ მისი სურვილით გამოგზავნილი წერილი დიდი პატივია. სად სცალია ახლა იმ კაცს?! კისერზე აწევს მთელი ამერიკა, მთელი მსოფლიო და პასუხისმგებლობა, თუ როგორ უმკურნალოს „კოვიდს“, მაგრამ მან საჭიროდ ჩათვალა და დრო მონახა, რომ ასეთი მოკლე, მაგრამ ძალიან სერიოზული წერილი გამოეგზავნა. ნუ, ახლა ეს მთლად შემთხვევითი არ ყოფილა. ჩვენ 22 წლის პარტნიორობა გვაკავშირებს. 2017 წელს მან მე და ჩემი ორი წამყვანი თანამშრომელი, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი და აკაკი აბუთიძე თავის ინსტიტუტში მიგვიწვია, ჩვენ პატივსაცემად ნახევარდღიანი სესია გამართა და ბოლოს, მეგობრული სადილი მოაწყო. როგორც გვითხრეს, მას ეს სხვა შემთხვევაში არცერთხელ არ გაუკეთებია აღმოსავლეთ ქვეყნების მიმართ და ეს იყო პირველი ასეთი შემთხვევა. აი, ასეთი კაცის წერილი ჩვენთვის უნდა იყოს გზამკვლევი და იმის პირობა, რომ მინიმუმ, შევინარჩუნოთ ეს ტემპი და არ დავაგდოთ“, — განაცხადა ცერცვაძემ.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

კახეთის **რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება განახლდა. რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ოთხი ახალი სკოლა შენდება. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში ახალი სკოლის მშენებლობის პროცესი და ასევე, სოფელ მატანში ახლადაშენებული ამბულატორიის შენობა კახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ქარუმაშვილმა დაათვალიერეს. ისინი ვითარებას ადგილზე გაეცნენ.**

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის სკოლის მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს. სამუშაოები 2020 წლის ბოლოს დასრულდება და პროექტის ჯამური ღირებულება 1 მლნ 200 ათასი ლარია.

რაც შეეხება სოფელ მატანში ახლადგახსნილ ამბულატორიას, მისი მშენებლობა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 72 000 ლარი შეადგინა. ამბულატორიაში როტაციის წესით სამი ექიმისა და სამი ექთნისგან შემდგარი სამი ჯგუფი მუშაობს.

* * *

ამ ეტაპზე ქალაქ ბაღდათში, შანიძის და ენდელაძის ქუჩების სრული რეაბილიტაცია ხორციელდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შპს „გი-ან2011“ ასრულებს, რომლის ღირებულებაც 500,000.00 ლარს შეადგენს.

ენდელაძის და შანიძის ქუჩებზე რკინა-ბეტონის საფარი იგება, ეწყობა სანიაღვრეები და ცხაურები. რკინა- ბეტონის საფარი მოეწყობა ასევე წმინდა მარიამის ქუჩაზეც, რომლის რეაბილიტაციას სამშენებლო კომპანია შპს „ლომი“ ასრულებს. ქალაქ ბაღდათში აღნიშნული გზების კეთილმოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

ყველაზე ღირებული ადამიანის სიცოცხლეა!

კოვიდ-19, ოპოზიცია და ქართველი მედიკოსები

ამბობენ, რომ „კოვიდ-19“-ის ინფექცია მსოფლიოს შეცვლისო, მსოფლიოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მარტო ის რად ღირს, რომ მთელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, თავისი რადიო-ტელევიზიებით, პრესით და ა.შ. გამუდმებით აშუქებდა კორონაინფექციის დროს მოსახლეობის ტესტირების საკითხს. ასეთი დაინტერესება რით იყო გამოწვეული, ბოლომდე არავინ იცოდა, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, უფრო აქტიურმა პოლიტიკოსებმა „აღმოაჩინეს“, რომ თურმე ჩვენს ქვეყანაში კორონავირუსზე ნაკლები დიაგნოსტიკური ტესტები კეთდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში. და დაიწყო ის, რაც დაიწყო — ამ საკითხის „მეცნიერული“ შესწავლა. მოიწვიეს როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ქვეყნის სპეციალისტები, ექსპერტები. ყველას ამცნეს ამის შესახებ და ეს საკითხი თითქმის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად აქციეს, ცოტა აკლდათ, რომ მოეთხოვათ მთავრობის გადადგომა და სამედიცინო პერსონალის დათხოვნა. მაგრამ, ბოლო მომენტში თავი შეიკავეს, მიხვდნენ, რომ ტესტირების მონაცემები ვერანაირად ვერ დაჩრდილავდა იმ მეტად კარგ, შთამბეჭდავ მონაცემებს, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია პანდემიასთან ბრძოლის საქმეში. კერძოდ, საქართველოში სიკვდილიანობის (ლეტალობის) მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო, ევროპის ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით. ამ მათთვის არასასიამოვნო ფაქტის გასაბათილებლად იქვე დაიწყეს სხვადასხვა მითების შექმნა, თითქოს მთავრობა მალავს სიკვდილიანობის შემთხვევებს (იქნებ თქვან, როგორ წარმოუდგენიათ ასეთ პატარა ქვეყანაში გარდაცვლილი ადამიანის დამალვა?). შემდეგი მითის თანახმად, თურმე, ლეტალობა ჩვენთან, სხვა ქვეყნებთან შედარებით, იმიტომ არის დაბალი, რომ აქ სხვა სახის ვირუსია და ადამიანს ვერ ვნებსო, ხოლო ზოგჯერ ისეთ რამეს როშავდნენ, რომლის გამეორება და დაწერა ამ სერიოზულ გაზეთში, სულ ცოტა, უხერხულია. რაც მთავარია, პატივცემულ ოპოზიციას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, ეს მოვლენა აეხსნა კარგი ქართული სამედიცინო მენეჯმენტით და ავადმყოფთა ეფექტური — რაციონალური მკურნალობით.

როგორც ჩანს, ჩასაფრებულ ოპოზიციას ქვეყანაში ვირუსთან ბრძოლის შედეგები ნაკლებად აინტერესებდა, ოპოზიციის განსაკუთრებულ შფოთს იწვევდა იმაზე ფიქრი, რომ ამ კარგ შედეგებს მთავრობა თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. რა თქმა უნდა, ამაში გარკვეული ლოგიკა იყო, მაგრამ ასეთი არათანმიმდევრული მიდგომა თავიდანვე მცდარია, რადგან, თუ ქვეყანაში ცუდი შედეგი დადგებოდა, ოპოზიცია მაშინვე აყვირდებოდა — ეს მთავრობის ბრალიაო!.. ხოლო თუ ქვეყანაში კარგი შედეგი იქნებოდა, მაშინ იტყოდა, მთავრობა რა შუაშია, ეს ექიმების დამსახურებააო.

ასეთი უპრინციპო საქციელი ოპოზიციას პატივს არ მიაგებს და, სულ ცოტა, უსინდისობისკენ მიანიშნებს. საერთოდ, ოპოზიცია იმ აზრს უნდა შეეგუოს, რომ თუ რამე კარგი გაკეთდა ქვეყანაში და მთავრობა თვლის, რომ ეს მისი დამსახურებაა, რა თქმა უნდა, ის ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. აქ არაფერი არ არის გასაკვირი, მაგრამ, სად და როდის, ეს სხვა საკითხია.

პანდემია გლობალური მოვლენაა, მან ამა თუ იმ ხარისხით თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა დააზიანა. განსაკუთრებით ეს შეეხო იმ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობაში მაღალ ავადობას და სიკვდილიანობას ჰქონდა ადგილი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია პანდემიის დროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველა ღონისძიებების კოორდინაციას ახდენს და შესაბამის რეკომენდაციებს იძლევა.

საქართველოში პანდემიის დაწყებამდე უფრო ადრე შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო (თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი გ. გახარია), საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ამ პრობლემის მცოდნე მაღალი რანგის პროფესიონალი სპეციალისტები, პროფესორები: ა. გამყრელიძე, თ. ცერცვაძე, პ. იმნაძე, ჯანდაცვის მინისტრი ე. ტიკარაძე. ამ საბჭომ შეიმუშავა ქვეყანაში ურთულესი პროცესის მართვის ძირითადი სტრატეგია და პროგრამა, რომლის თანახმად ყველა სახის ღონისძიებას, რომელსაც ახორციელებს ქვეყნის მთავრობა და დარგობრივი სამინისტროები: საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, კარანტინი, სოციალური დისტანცირების დანერგვა, მოსახლეობის ტესტირება, ჰოსპიტალური სექტორის გადაკვალიფიცირება, სამედიცინო პერსონალის მობილიზება და სათანადო მომზადება, გამიზნულია მოსახლეობაში ვირუსული ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ, ხოლო საბოლოო მიზანი ქვეყანაში კორონავირუსით გამოწვეული მოსახლეობის ავადობის და სიკვდილიანობის შემცირებაა!

ცხადია, როცა ქვეყანაში ასეთი გლობალური მნიშვნელობის მოვლენა ხდება, საზოგადოებაში ეს გარკვეულ შეშფოთებას იწვევს და ყოველთვის წარმოიქმნება აზრთა სხადასხვაობა, რაც თავის მხრივ გასაკვირი არ არის. მაგრამ, როცა ესა თუ ის საკითხი გაჟღენთილია პოლიტიკური ვირუსით, იქ ჭეშმარიტების დადგენა ძალიან ძნელი ხდება.

ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართველი სპეციალისტების მიერ მოსახლეობის კორონავირუსის ტესტირების სტრატეგია სწორი იყო და როგორც დრომ გვაჩვენა, მთლიანად გაამართლა. ეპიდემიის საწყის ეტაპზე ტესტირება (ყველაზე ზუსტი მეოთოდით ე.წ. ოქროს სტანდარტი, PCR-ტექნოლოგია) უტარდებოდათ ძირითადად იმ ადამიანებს, ვისაც დავადების კლინიკური ნიშნები ჰქონდა, შემდგომ ხდებოდა მათი ჰოსპიტალიზაცია და საბოლოო დიაგნოზის დადგენისთანავე ავადმყოფებს უტარდებოდათ მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება. ყველა სხვა ასიმპტომური პაციენტი, რომელსაც კლინიკური ნიშნები არ აღენიშნებოდა, მაგრამ კონტაქტი ჰქონდათ ინფიცირებულ სუბიექტთან, რჩებოდა მონიტორული მეთვალყურეობის ქვეშ, ან საკარანტინო რეჟიმში გადადიოდა. გარდა ამისა, პირველადი წყაროს დადგენის შემდეგ, ლოკალურად ხდებოდა იმ ადამიანების ტესტირება, ვინც გარკვეულად რისკის მატარებლები იყვნენ. ასეთმა სტრატეგიამ, (რომლის პრაქტიკა ასევე არსებობს შვედეთში) მთლიანად გაამართლა: ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციის პროცესი კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო ჰოსპიტალური სექტორის გადატვირთვას ადგილი არ ჰქონია, და რაც მთავარია, მიღწეული იყო ძირადი მიზანი, როგორც აბსოლუტურ რიცხვებში, ისე ერთ მილიონ მოსახლეზე გათვლით, ევროპის ქვეყნებს შორის ავადმყოფთა სიკვდილიანობის (ლეტალობის) მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო საქართველოში, რაც თავის მხრივ, ყველა გატარებული ღონისძიების მაღალეფექტურობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება მოსახლეობის მასობრივ ტესტირებას პანდემიის დროს, მისი მიზანი და მნიშვნელობა ამ პროცესში ცნობილია (ინფექციის გავრცელების კონტროლი, ფარული, ასიმპტომური შემთხვევების გამოვლენა და სხვ.), რომლის მასშტაბურობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ-ტექნიკურ შესაძლებლობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვ. ამბობენ, რომ განსაკუთრებით პანდემიის დასაწყისში მასობრივი ტესტირება უფრო სარისკოა. ამას ასე ხსნიან: ამ დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსახლეობაში პანიკას, რომელმაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს სამედიცინო სექტორის არასასურველი გადატვირთვა და დაზიანება. სწორედ ამ სახის არასასურველ მოვლენებს ადგილი ჰქონდა პანდემიის დასაწყისში ზოგიერთ ქვეყანაში. ამჟამად საქართველოში რეგულარულად ტარდება გარკვეული გეგმის მიხედვით მოსახლეობის ტესტირება კოვიდ-19-ზე სპეციალურად შერჩეულ რისკჯგუფებში, რომლის შედეგებს პერიოდულად მოსახლეობაც ეცნობა.

ამ მასშტაბის ტრაგედია, რომელიც მთელ მსოფლიოს თავზე დაატყდა და ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ძნელად წარმოსადგენი და პროგნოზირებადი იყო. სხვა ქვეყნებთან ერთად, განსაკუთრებით ეს აშშ-ს შეეხო, რომელიც, როგორც ზესახელმწიფო, თავისი უზარმაზარი მეცნიერული, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით ძლივს უმკლავდება ამ უხილავი ვირუსის შემოტევას. ამერიკამ სამ თვეში უფრო მეტი თავისი მოქალაქე დაკარგა (80 000), ვიდრე 10-წლიან ვიეტნამის ომში (58 000).

თუ გვინდა, დავინახოთ ამ ტრაგედიის ნამდვილი მასშტაბი, რომელიც დედამიწაზე დატრიალდა, სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ ამ მოვლენას. რაც შეეხება იმას, მსოფლიო შეიცვლება თუ არა ამ პანდემიის შემდეგ, ერთი რამ ნამდვილად შეიცვლება: კაცობრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ყველაზე ღირებული ამ ქვეყანაზე ადამიანის სიცოცხლეა!

საქართველოს მთავრობისა და ქართველი მედიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთი თავდადებული შრომით ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ საუკუნის ურთულეს პრობლემას, თავი გამოიჩინეს მაღალი პროფესიონალიზმით მთელს მსოფლიოში და რაც მთავარია, ყოველმხრივ დაიმსახურეს ქართველი ხალხის დიდი პატივისცემა და მადლიერება.

ბონდო ძოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როგორ გახდა საქართველო სამაგალითო?!

პატარა ქვეყნის დიდი ძალისხმევა: როგორ გახდა საქართველო სამაგალითო COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — ამ სათაურით ავსტრიის პრესის სააგენტო (**APA**) სტატიას აქვეყნებს. მასში ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის ინტერვიუზე დაყრდნობით დეტალურადაა განხილული ის ნაბიჯები, რომლებიც ქვეყანამ პანდემიის შეჩერების მიზნით გადადგა.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველომ არა მხოლოდ დროულად გაითვალისწინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, არამედ ვირუსთან ბრძოლის საკუთარი სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნის მასშტაბით ვირუსის გავრცელების შესამცირებლად.

„იანვრის დასაწყისშივე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები შესაძლო ეპიდემიის შეჩერებისა და მართვის მიზნით. აეროპორტებში და სახმელეთო საზღვრებზე დაიწყო საინფორმაციო კამპანია. მგზავრები ქვეყანაში შემოსვლისთანავე იღებდნენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ვირუსის დამახასიათებელი სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში. მალევე საზღვრებზე დაიწყო თერმული სკრინინგიც. გარდა ამისა, რისკის ქვეყნებიდან შემოსული მგზავრები, დაკვირვების მიზნით, პირდაპირ საკარანტინო ზონებში გადაჰყავდათ“, — აღნიშნულია სტატიაში.

გამოცემა ხაზს უსვამს, რომ საქართველომ ვირუსთან ბრძოლის მიზნით ყველა საჭირო რესურსი გამოიყენა და დამატებით, COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით სპეციალური აპლიკაცია „Stop COVID“ დანერგა, რომელიც მოსახლეობისთვის ინფიცირებულ პირთან შესაძლო კონტაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება.

„ჯერ არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ ახალი კორონავირუსი საქართველოში, ან სხვა ქვეყნებში სრულად გაქრება. ამიტომ მნიშვნელოვანია, თითოეულმა სახელმწიფომ და მოქალაქემ ვისწავლოთ ამ ვირუსთან თანაცხოვრება, რათა ეს პროცესი ვაქცინის და უფრო ეფექტური მკურნალობის დანერგვამდე სწორად მართული და უსაფრთხო იყოს“, — აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ გამოცემასთან.

სტატიის დასასრულ ნათქვამია, რომ **„სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყანად წარმოაჩენს, რამაც თვალსაჩინო გახადა, რომ კრიზისულ ვითარებაში არა მხოლოდ ქვეყნის რესურსია მნიშვნელოვანი, არამედ მისი ეფექტური და დროული მენეჯმენტი“.**

ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

სიცოცხლე მაინც იმარჯვებს!



თუკიდიდე ათენელიდან თენგიზ ცერცვაძემდე!..

ადამიანის მაჯადიკული მჭეჩი

კაცობრიობას დასაბამიდან ორი მრისხანე მტერი ჰყავდა. ერთის შემოქმედი თვით ადამიანი იყო, რომელიც ომის „გამოგონებით“ სპობდა სიცოცხლეს და მიწასთან ასწორებდა საუკუნეების მაძილზე შექმნილ ნაღვაწს. მეორე უხილავი მტერი მისი ნების გარეშე მოქმედებდა და ავლენდა ადამიანის სრულ უძლურებას (მიწისძვრები, ვულკანის ამოფრქვევები, წყალდიდობები და განსაკუთრებით ეპიდემიები).

მთავარ მტერს ომს, პირველობის გვირგვინი არასდროს დაუთმია, მაგრამ დროდადრო მოკავშირედ გვერდით უდგებოდა არანაკლები ძალმოსილებით აღჭურვილი უბედურება – „შავი ჭირი“, რომელიც მოულოდნელი აფეთქებებით, უმოწყალოდ ცელავდა მის საბრძანებელში მოხვედრილ სულიერ არსებებს.

უძველესი წერილობითი ცნობები მოარული სენით გამოწვეულ ტრაგედიათა შესახებ დაცული აქვთ კულტურისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელების პირველ დიდოსტატებს, ბერძენ სწავლულებს.

ბერძენ მეცნიერთა ნაშრომებში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინფორმაციების გვერდით, საყურადღებო ადგილი აქვს დათმობილი ჟამიანობის ამსახველ ამბებსაც, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუკიდიდე ათენელის (460-396) „ისტორიაში“ აღწერილი დაავადების დამადასტურებელი ფაქტი.

თუკიდიდეს თხზულებაში გადმოცემულია საბერძნეთის ისტორიის ტრაგიკული პერიოდი, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ორად გაყოფილი ბერძნული პოლისები, ათენისა და სპარტის მეთაურობით. ომი ცნობილია პელოპონესის ომის (431-404 წ.) სახელწოდებით. პირველობისთვის ატეხილმა ომმა აყვავებული ელადის ქალაქები, იმავე ელინების ხელით სრული განადგურების ზღვარზე მიიყვანა. განგებამ საბერძნეთს ომი არ აკმარა და ბრძოლის დასაწყისშივე ღვთის რისხვად მოუვლინა მოარული სენი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (აღსანიშნავია, რომ უცნობი დაავადების მსხვერპლი გახდა დიდი ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე, ათენის დემოკრატიის ბელადი პერიკლე (490-429 წ).

თუკიდიდეს გადმოცემით, დაავადება შენიშნეს 431 წლის ზაფხულში.

თუკიდიდე პელოპონესის ომის უბრალო თანამედროვე არ ყოფილა. ეპოქის უპირველესი მემატიანე ათენის ხელისუფლების ზედაფენას ეკუთვნოდა. იგი 424 წელს აირჩიეს სტრატეგოსის თანამდებობაზე, რაც მის აქტიურ პოლიტიკურ ინტერესებზე მეტყველებს, თუმცა საომარ ასპარეზზე თავი ვერ გამოიჩინა. სტრატეგოსის რანგში ამაღლებულ თუკიდიდეს დაევალა თრაკიის სანაპიროების დაცვა, მაგრამ, ვიდრე დანიშნულების ადგილამდე მიაღწევდა, სპარტელებმა თრაკიის მთავარი ქალაქი ამფიპოლისი დაიკავეს. ათენში დანაკარგს იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ თუკიდიდე ღალატის ბრალდებით, სტრატეგოსობიდან გადააყენეს, გაასამართლეს და სამშობლოდან სამუდამო გაძევება მიუსაჯეს. ისტორიკოსს ათენში დაბრუნების ნება მიეცა 404 წელს გამოცხადებული ამნისტიით, მაგრამ საცხოვრებლად ათენში არ დარჩა და დაბრუნდა თრაკიაში, სადაც გარდაიცვალა გაურკველ ვითარებაში.

თუკიდიდემ „ისტორიაში“ საოცარი სიზუსტით აღწერა ძვ.წ. V საუკუნის საბერძნეთის ისტორიის შუქ-ჩრდილები. მისმა ნაშრომმა ანტიკურ ხანაშივე მოიპოვა ფართო პოპულარობა. საერთოდ, თუკიდიდე მიჩნეულია სანდო ისტორიკოსად. თუკიდიდემ ელადის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გარდა, მეცნიერებას დაუტოვა ძვ.წ. 431-429 წლებში გავრცელებული მომაკვდინებელი სენის ვრცელი აღწერა. თხზულების მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ ისტორიკოსის წყაროს სხვათა მონათხრობის აღნუსხვა არ წარმოადგენდა, წერდა იმას, რასაც ხედავდა და შესაძლებლობის ფარგლებში ისმენდა. თუკიდიდეს ეპიდემიის შესახებ საუბრისას მოაქვს უტყუარი არგუმენტი, რომელშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია, იგი წერს, „მე თვითონ გადავიტანე ეს ავადმყოფობა და ვაკვირდებოდი მის განვითარებას სხვებზე“. ცხადია, ამ სიტყვების ავტორს დაეჯერება.

კლასიკური პერიოდის ბერძნულ მეცნიერულ ტრადიციებზე აღზრდილი თუკიდიდე, განათლებული ათენელის თვალით განიხილავდა შექმნილ მდგომარეობას. მისი თხრობის თანახმად, ეპიდემიის კერას წარმოადგენდა ეთიოპია, საიდანაც გავრცელდა ეგვიპტესა და ლიბიაში. დადათ ძლიერი სიცხე, „თვალების ჩაწითლება და ანთება. პირის ღრუ და ენა სწრაფად ხდება სისხლისფერ-წითელი, სუნთქვა წყვეტილი... ამ მოვლენების შემდეგ დასნეულებულს ეწყება ცხვირის ცემინება და ხიხინი. მცირე ხნის შემდეგ ავადმყოფობა გადადის გულზე ძლიერი ხველებით“.

დასნეულებულთა უმრავლესობა განიცდიდა კრუნჩხვებს და გულის რევას აუტანელი ტკივილებით, წყლის განუზომელ მოთხოვნილებას. შინაგანი ცხელება იყო იმდენად ძლიერი, რომ ავადმყოფი ვერ იტანდა თხელ ზეწარსაც და იწვა სრულიად შიშველი. უმწვავესი ტკივილები ორგანიზმს ასუსტებდა და ავადმყოფი მეშვიდე ან მეცხრე დღეს ამთავრებდა სიცოცხლეს. გადარჩენილების უმრავლესობას ავადმყოფობამ სერიოზული დარღვევები დაუტოვა (დაუზიანა თითები ხელებზე და ფეხებზე, ზოგიერთებმა დაკარგეს მხედველობა, მოქმედებდა სასქესო ორგანოებზე, ბევრმა საერთოდ დაკარგა მეხსიერება, ვერ ცნობდა ახლობელ ადამიანებს).

შავი ჭირი ანტიკურ ევროპაში

ავადებამ მოიცვა სპარსეთის დიდი ნაწილი. ბერძნულ სივრცეში უბედურება პირველად თავს დაატყდა კუნძულ ლემნოსს, საიდანაც მოედო მთელ ეგეოსის აუზს. იმდროინდელი მედიცინისთვის დაავადება სრულიად უცნობი იყო. თუკიდიდე წერს: ექიმები, რომლებიც ცდილობდნენ დახმარებოდნენ ავადმყოფებს, არ იცნობდნენ რა, დაავადების ბუნებას, თვითონ ხდებოდნენ მსხვერპლნი.

თუკიდიდეს დაკვირვებით ატიკის დასნებოვნება დაიწყო პირეოსიდან (პირეოსი იყო ათენის საზღვაო კარიბჭე, რომლითაც უკავშირდებოდა გარე სამყაროს, სადაც თავს იყრიდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა პოლისის გემები, რომელთა მეშვეობითაც მოხდა ეპიდემიის გავრცელება). თუკიდიდეს ინფორმაციით, სასოწარკვეთილი ადამიანები შველას ლოცვებში ხედავდნენ, ეშურებოდნენ ტაძრებისკენ, მიმართავდნენ ორაკულსა და წინასწარმეტყველებს, მაგრამ ყოველივე მთავრდებოდა უშედეგოდ. ისტორიკოსი, რომელსაც გადატანილი ჰქონდა დაავადება, დამაჯერებლად ამბობს, ვინც ერთხელ მოიხადა, მეორედ აღარ ემართებათო და ხაზგასმით აღნიშნავს, ამას იმიტომ ვწერ, ხელმეორედ აფეთქების შემთხვევაში გააადვილოს მისი გამოცნობა. თვითმხილველის განცხადებით, ქალაქში სხვა დაავადება თითქმის აღარ იყო. თუ ადრე ზოგიერთები სხვადასხვა სნეულებებს ებრძოდნენ, ყველანი გადავიდნენ ამ დაავადებაზე (როგორც ჩანს, ახლად გაჩენილი ეპიდემიის სისასტიკემ დაფარა ადრინდელი დაავადებები).

თუკიდიდე სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენებით აღწერს ეპიდემიის სიმპტომებს. მისი სიტყვებით, სრულიად ჯანმრთელ ადამიანებს უცბათ უვითარდებოდათ ძლიერი ცხელება, „თვალების ჩაწითლება და ანთება. პირის ღრუ და ენა სწრაფად ხდება სისხლისფერ-წითელი, სუნთქვა წყვეტილი... ამ მოვლენების შემდეგ დასნეულებულს ეწყება ცხვირის ცემინება და ხიხინი. მცირე ხნის შემდეგ ავადმყოფობა გადადის გულზე ძლიერი ხველებით“.

დასნეულებულთა უმრავლესობა განიცდიდა კრუნჩხვებს და გულის რევას აუტანელი ტკივილებით, წყლის განუზომელ მოთხოვნილებას. შინაგანი ცხელება იყო იმდენად ძლიერი, რომ ავადმყოფი ვერ იტანდა თხელ ზეწარსაც და იწვა სრულიად შიშველი. უმწვავესი ტკივილები ორგანიზმს ასუსტებდა და ავადმყოფი მეშვიდე ან მეცხრე დღეს ამთავრებდა სიცოცხლეს. გადარჩენილების უმრავლესობას ავადმყოფობამ სერიოზული დარღვევები დაუტოვა (დაუზიანა თითები ხელებზე და ფეხებზე, ზოგიერთებმა დაკარგეს მხედველობა, მოქმედებდა სასქესო ორგანოებზე, ბევრმა საერთოდ დაკარგა მეხსიერება, ვერ ცნობდა ახლობელ ადამიანებს).

თუკიდიდე დაავადების ერთ განსხვავებულ თავისებურებაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი სიტყვებით, ფრინველები და ცხოველები, რომლებიც გვამებით იკვებებიან, ქუჩებში დაუსაფლავებლად მიმოფანტულ ცხედრებს საერთოდ არ შეხებიან. ტერიტორია დატოვეს და გაუჩინარდნენ. თუ რომელიმე შეეხებოდა, მაშინვე კვდებოდა. დაავადება გავრცელდა ძაღლებზე, იმის გამო, რომ ეს ცხოველები ადამიანების გვერდით ცხოვრობენ, დაავადებამ მათი სრული განადგურება გამოიწვია. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაავადება, რადგან ძაღლებს გადაედოთ, სხვა შინაურ ცხოველებზედაც გავრცელდებოდა, თუმცა თუკიდიდე ამის შესახებ ცნობებს არ გვაწვდის.

ადამიანები იღუპებოდნენ განურჩევლად იმისა, მკურნალობდნენ თუ არა. სნეულება მუსრავდა როგორც ფიზიკურად სუსტებს, ისე ძლიერებს. ყველაზე საშინელება ამ უბედურებაში იყო სულიერი დაცემა, ვინც თავს შეუძლოდ იგრძნობდა, ვარდებოდა სრულ უიმედობაში და იმედგადაწურული ელოდებოდა სიკვდილს. ადამიანები ერთმანეთს გადასცემდნენ ავადმყოფობას და იღუპებოდნენ, როგორც ცხვრები. გადადების შიშით, ავადმყოფები სრულ მარტოობაში კვდებოდნენ. ოჯახები ამოწყდნენ ისე, რომ ვერავინ ბედავდა მათ მონახულებას. თუ რომელიმე ნათესავი არ შეუშინდებოდა საფრთხეს, ისიც მსხვერპლად ეწირებოდა ადამიანური გრძნობების გამოხატვას. თუკიდიდეს დაკვირვებით, განწირულ ადამიანთა ერთადერთ იმედს წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებსაც ავადმყოფობა ჰქონდათ გადატანილი, რადგან სენი მათ განმეორებით არ ემართებოდათ. ეპიდემია თითქმის სამი წელი მძვინვარებდა (431-429 წლებში). უამრავი ადამიანის სიცოცხლე მიიტაცა და ჩაცხრა).

თუკიდიდეს გადმოცემით, ათენში მდგომარეობას ამძიმებდა ლტოლვილთა დიდი რაოდენობა. მთელი ქვეყნიდან დაძრული თავშესაფარის მაძიებელი უპოვრები უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილნი ღარიბულ ქოხებში ცხოვრობდნენ. ერთმანეთის გვერდით ნაუცბათევად აგებული მიწურები განსაკუთრებით უწყობდა ხელს ავადმყოფობის ადვილად გავრცელებას. დაავადებულებსა და ჯანმრთელებს შორის გამმიჯნავი ზოლი არ არსებობდა თხზულების ამ მონაკვეთში მემატიანეს აღწერილი აქვს შემზარავი სურათები. უპატრონოდ მიტოვებული მომაკვდავები დაეხეტებოდნენ ქალაქის ქუჩებში. ტაძრები და საკურთხევლები მოფენილი იყო დაღუპულთა ცხედრებით. სულიერად გატეხილებმა დაკარგეს ადამიანური და ღვთაებრივი კანონებისადმი პატივისცემა, დაკარგეს სირცხვილის გრძნობა, ყველა ისე იქცეოდა, როგორც მოესურვებოდა. უკეთურ ქმედებებს, რომლებსაც ადრე ფარულად სჩადიოდნენ, საყოველთაო უწესრიგობის ჟამს, მოქმედებდნენ ღიად. ცოცხლად გადარჩენილები უსინდისოდ ისაკუთრებდნენ გარდაცვლილთა ქონებას. დავიწყებას მიეცა დაკრძალვის ტრადიციები, ჭირისუფალი მიცვალებულს ისე ასაფლავებდა, როგორც მოუხერხდებოდა. ზოგიერთები სხვისთვის გამზადებულ კოცონს უნამუსოდ ისაკუთრებდნენ. ძალადობამ და უკანონობამ მოიცვა მთელი ქალაქი. თავს დატეხილმა უბედურებამ გამოიწვია ელადის სკოლად მიჩნეული ათენის დემოკრატიის დაკანონებული წერიგის უარყოფა და გზა გაუხსნა ქაოსს.

მემატიანე განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მსხვერპლთა რიცხვი დიდი იყო ათენის ღარიბულ უბნებში. ამას იგი მათი უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობებით ხსნის. მისი სიტყვებით, ერთ ქოხში იყვნენ მიცვალებულები და ავადმყოფები. სენისადმი ასეთი გაუფრთხილებლობა მის გავრცელებას გაზრდიდა. თუმცა ადგილი ჰქონდა გადარჩენის ფაქტებსაც (თუკიდიდემ ყოველგვარი გვერდითი გართულებების გარეშე გადაიტანა დაავადება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისტორიკოსი მდიდარი ოჯახის შვილი იყო და თავიდანვე იზოლირებულ მდგომარეობაში იქნებოდა. თუმცა სენი არ არჩევდა მდიდარსა და ღარიბს. ეს რომ ასე იყო, მეტყველებს პერიკლეს ბედი. დიდი პიროვნება, რომელმაც ეპოქას თავისი სახელი მისცა, შეიწირა მოარულმა დაავადებამ. თუკიდიდეს შემთხვევა გამონაკლისს წარმოადგენდა).

თუკიდიდე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპარტაში ეპიდემიას არ მიუღია ტრაგიკული ხასიათი. ამ რეალობას განაპირობებდა სპარტის სუსტი კონტაქტები დანარჩენ ბერძნულ პოლისებთან. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სპარტა არ იყო მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, რასაც ვერ ვიტყვით ათენზე, სადაც სრულუფლებიან მოქალაქეთა გარდა, ურიცხვი მეტეკი (არაათენელი) და ლტოლვილი ცხოვრობდა.

ბერძნული საქალაქო ცხოვრების ტრადიციული გაგებით თუ ვიმსჯელებთ, სპარტა პოლისზე უფრო, სოფლის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ამის გამო, მოსახლეობას ერთმანეთთან მცირე კონტაქტი ჰქონდა. თუკიდიდეს მტკიცებით, ავადმყოფობამ განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებს მიაყენა ყველაზე მეტი ვნება.

ათენს ერთდროულად დაატყდა თავს ომი და შავი ჭირი. თუ პირველს მეტ-ნაკლებად უმკლავდებოდა, მეორესთან უძლური აღმოჩნდა. თუკიდიდე დაავადების ბუნების კვლევასთან ერთად, ხალხში გავრცელებული ჭორების შესახებაც მოგვითხრობს, თითქოს სპარტელებმა პირეოსში მოწამლეს სასმელი წყალი, რამაც გამოიწვია ავადმყოფობის ხელოვნურად გავრცელება. ისტორიკოსი ამგვარ ვერსიას უარყოფს. იგი მოგვითხრობს არა ყურმოკრულ ამბებს, არამედ ყოველივე იმას, რასაც ხედავდა და საკუთარ თავზეც ჰქონდა განცდილი.

იხ. 8 გვ.

რომელი კონფესიისთვის რა შეცვალა პანდემიამ?!

ჯამბულ აბულაძე ადიგენის მუნიციპალიტეტში ჭელის მეჩეთის წინამძღვარია. **აპრილის ბოლოდან, რამადანის მარხვის დაწყების შემდეგ, მეჩეთში ლოცვას მარტო აღავლენს.** ლოცვა ღამის 11 საათისთვის სრულდება, ჯამბულ აბულაძეს კი, „კომენდანტის საათის“ დროს გადაადგილებისთვის საჭირო საშვი არ აქვს. COVID-19-ის პანდემიის გამო, საქართველოს მეჩეთებში კოლექტიური ლოცვა დროებით შეწყდა. ეს გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ 19 მარტს, ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე მიიღო.

„ამ ვირუსმა თავისუფლების ფასი დაგვანახა. ყველას და ყველაფრის ლუსტრაცია მოხდა. კარგად გამოჩნდა გაჭირვების დროს ვის რა შეგვძლებია. ვის შეიძლება ვენდოთ და ვის არა. კიდევ მეტი რამ შეიცვლება, როცა კორონავირუსი ჩაივლის. ჩვენთან ახლა რამაზანი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთადერთი პერიოდია, როცა ერთობლივ ლოცვებში ქალები და ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას, წელს ვირუსის გამო ყველას სახლებში მოუწია ლოცვა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მეჩეთები დაიკეტა. ერთი ადამიანი ყოველთვის ლოცულობს. თხოვნა მექნება ჩვენს ხელისუფლებასთან, იქნებ მოხერხდეს ერთი საშვის გაცემა“, — ამბობს ჭალის მეჩეთის წინამძღვარი.

მრევლის გარეშე წირვის გადაწყვეტილება საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე მიიღო სომხურმა სამოციქულო ეკლესიამაც. სპეციალური დეკრეტის თანახმად, სასულიერო პირები წირვას დახურულ კარს მიღმა აღავლენენ. დროებით არ ტარდება ნათლობა და ჯვრისწერა. **„ადამიანს წინ თუ ქვა შეხვდება, მას ან უნდა დააბიჯოს და ან შემოუაროსო“,** — ამბობს ახალციხისა და ბორჯომის მღვდელი აკოფ სააკიანი. ის კორონავირუსის პანდემიას უწოდებს ახალ დაბრკოლებას, რომელსაც უნდა გაერიდო, ან სხვა გამოსავალი მოძებნო: **„თუ სახელმწიფოს მიერ მიღებული ახალი კანონი შედის ძალაში, ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს რწმენასა და მოღვაწეობას. როგორც გადაწყვიტა საქართველოს მთავრობამ, ჩვენც ვცდილობთ დავრჩეთ სახლში“.**

მრევლის გარეშე ტარდება წირვა-ლოცვა სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ტაძრებში. ხალხის თანდასწრებით ბოლო წირვა 22 მარტს ჩატარდა. მარხვის პერიოდში ვიდეობლოგებს აქვეყნებდა არლის კათოლიკური სამრევლო. პოლონელი მამა დარიუში მრევლს „უფლის სიტყვების მოსმენისკენ“ მოუწოდებდა: **„საქართველო, პოლონეთი და მთელი მსოფლიო ახლა რთულ მდგომარეობაშია. ეპიდემია, რომელიც ყოველდღიურად ვრცელდება, გვაშინებს. ბევრ ადამიანს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ართმევს, ჩვენ — სიმშვიდეს. გვჭირდება მხარდაჭერა და ჭკვიანური სიტყვები, რომელიც დაგვეხმარება“.**

წირვის მრევლის გარეშე ჩატარების, ან ზიარების წესის დროებით შეცვლის გადაწყვეტილება არ მიუღია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მიუხედავად ეპიდემიოლოგების გაფრთხილებისა, რომ ეს ვირუსის გავრცელების რისკებს შეიცავს. მართლმადიდებელი სასულიერო პირები აცხადებენ, რომ მთავრობის რეკომენდაციების დაცვა მორწმუნეებს შორის დისტანციის დაცვით და სადეზინფექციო ხსნარებისა და პირბადეების დარიგებით ხდება. მრევლი წირვას ტაძრების ეზოებში, ხმის გამაძლიერებლების საშუალებით ისმენს.

„ვისაც არ შეუძლია ტაძარში მოსვლა, არ ინერვიულოს, არ ჩაეთვლება ცოდვაში. თუ ვერ მოვა სხვადასხვა მიზეზის გამო, ან რისკ-ჯგუფშია, ან ოჯახში ჰყავს ასეთი, ან სურს რეკომენდაციების გათვალისწინება, დარჩით სახლში, სახლიდან ილოცეთ, რომ უფალმა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა. ვისაც სურს მოსვლა, მოვიდეს. ტაძრის კარები ღიაა ღამითაც და დილითაც და მათ ტაძრიდან სთხოვონ უფალს ჩვენი ხალხის და სამშობლოს გადარჩენა“, — ამბობს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე.

მაია იველაშვილი

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

ტფილისური ხანები და აღებ-მიცემობა ტფილისურად

გემახსოვრებათ, მეიდნის ისტორია გიამბეთ და ისიც გემახსოვრებათ, რომ „ძალუანი ბაზარი იქ იყო“ — ფართალი თუ თოფები, ნაჭრები თუ ხალიჩები, თხილი — შაქარაყინულით, ხილით სავსე კალათები და შეშით სავსე ტომრები — ყველაფერ ამას ნახავდით იმ მეიდანზე, რომელზეც საიათნოვა დაწერს — „მეიდანი გამართული, ქანდირბაზი (ჯამბაზი) არ აკლია“.

მეიდნის სიახლოვეს კი ხანები არსებობდა. „ხანა“ (სახლი) — ამ სპარსულმა სიტყვამ უძველესი დროიდან მოიკიდა ფეხი ქართულ ენაში და მოით ახლა, მოგაქუჩებთ და შეგასეირნებთ ისტორიულ ხანებში. ვახ, რას არ განახებთ აქ?! თევზია თუ შაქარი,/ფქვილია თუ არაყი,/ფაფახი თუ ბაღდადი, /ზედ დარაიას კაბები,/აქ შირვანის ვარდი ხარობს/და სპარსული ნოხები/ერთმანეთს მიფენილნი —/ამ ყველაფერს მე განახებთ/შემომყევით ხანაში. **(ძ.ყ.).**

და ხომ მომყვებით?!



მაშ ასე, შევდივართ ბაზაზხანაში, ვირტუალურად, რა თქმა უნდა. ბაზაზხანა — ეს ჩვენი თბილის-ქალაქის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ცენტრი გახლდათ, ანუ დღევანდელი ბამბის რიგი და შარდენის ქუჩა, სადაც ბამბით, მატყლითა და ჩითებით შუა საუკუნეებიდან ვაჭრობდნენ (XIX საუკუნეში ქუჩას გადახურავენ, რის გამოც ბნელი ქუჩა ეწოდა). ბაზაზხანაშივე ყოფილა გათავსებული ბაყალხანა ანუ ხილისა და ბოსტნეულის რიგები, ალაფხანა — ფქვილისა და მარცვლეულის რიგები, აქვე ყოფილა ლილახანა — მღებავთა რიგი, იქვე ყასაბხანა — ხორცით მოვაჭრეთა რიგი, ასევე ქიაბაბხანა — სასადილო რიგები, მის გვერდით ჭორხანა — მექუდეთა რიგები და, რა თქმა უნდა, ხარაზხანა — ეს კი ის ადგილია, სადაც ხარაზები საქმიანობდნენ დილიდან დაღამებამდე.

ჰო, არ დამავიწყდეს, აქვე მრავლად ყოფილა ღვინისა და არყის სავაჭრო რიგები ანუ სირაჯხანები, სადაც ნახავდით იქვე ჩამომჯდარ სირაჯებსა და სირაჯბაშებს (უსტაბაში, რომლის ხელდასხმით ხდებოდა მეღვინედ კურთხევა).

ო-ო! მივადექით ნაღარხანას (დღეს ერეკლეს მოედნის მიმდ. ტერიტორია, რომლის ისტორიას გაგაცნობთ შემდეგ თავებში) — ეს მეფის დასისთვის განკუთვნილი ის ხმაურიანი ადგილი გახლდათ, სადაც „დაუკრამდნენ დილასა და საღამოს/დაფდაფებს და ქოსნაღარსა“.

მოით, ახლა მოგაქუჩებთ და მოგითხრობთ ტფილისელ ვაჭრებზე.

— ჩერეშნი, ჩერეშნი... ი... ი... — ეს კინტო გახლავთ, რომელსაც „გრგვალად დახვეული ძონძი ადევს“ თავზე ბალით სავსე ჭურჭლის დასამაგრებლად და მხარზე სასწორგადაკიდებული ბოლო ხმაზე გაჰყვირის — ჩერეშნი, ჩერეშნი... ი... ი...-ს და დადის ასე ქუჩა-ქუჩა.

— იაიცი, ვარიები... ციპლიონკები... ი... ი... — ესეც კინტოა „ტავარით“ ხელში და რომელსაც დახლებთან მდგარი ვაჭრები (თუ ქორვაჭრები?) ეხმაურებიან:

— ჩევო ვი ტუტ შუმიწე?! პაშლი ვონ ატ სუდა!

თავად ვაჭრები კი სურსათ-სანოვაგის საყიდლად მისულ ტფილისელებს თავიანთი დახლებისკენ ეპატიჟებიან:

— აქ მოდი, დედიჯან, ყველაფერს მოგართმევთ: ჩითი, მიტკალი, ბამბაზიონი — ზაგრანიცური.

— კნიაზჯან, რას გარბიხარ, სხვის საქონელს ოქროები ასხია?! მოდი, ძმურად გაგირიგდე!

— თეთრი ბალი!.. გოგრა ბალი!

— ჭერამ-ჭურამ!.. გარგარი, აღჯანაბადი, დაჩითული, შაქარია, შაქარი!

აი, ასე ვაჭრობდა ტფილისი, ვაჭრობდა ხმაურიანად, მაგრამ იცით თუ არა, რომ „...ჩარჩები (ქორვაჭრები) სოფლიდამ მონავალ ხალხს ყველგან უხდებიან და ხშირად, ძალ-დატანებით ჰყიდულობენ იმათგან ნახევარ ფასად ყველაფერს...

...ამის გამო ამ უკანასკნელ დროს ნახშირი ისე გაძვირდაო, რომ თითქმის წონით ისყიდებაო, გირვანქაში 7 კაპეიკი მოდისო“ — ამას დაწერს გაზეთი „დროება“ 1878 წელს.

სხვათა შორის, გაზეთის იმავე ნომერში წერია, რომ „...მეფურნეები დაჭერილნი არიან და ამის გამო დღეს პურს ამათი შაგირდები აცხობენო...“, თურმე, ნუ იტყვით და მეფურნეებს შეთქმულება იმის გამო მოუწყვით, რომ...

თუმცა ეს სულ სხვა ისტორია გახლავთ და თხრობას აღარ გავაგრძელებ, მა

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲖᲔᲪ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲨᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ �გᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ

**1952 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲛᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ ჯᲝᲠᲯ ᲡᲘᲗᲝᲜᲛᲐ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲨᲘ გᲐᲓᲐᲘᲦᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲓᲔᲡ“ („Anything Can Happen“). ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲛᲐ – ᲮᲝᲡᲔ ᲤᲔᲠᲔᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲛ ᲰᲐᲜᲢᲔᲠᲛᲐ. ᲤᲘᲚᲛᲨᲘ გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲓᲐᲔᲓᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘᲡ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚ გᲘᲝᲠგᲘ �პᲐ�პᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ �წიგნი „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲓᲔᲡ“. 1952 ᲬᲚᲘᲡ 3 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ. 1953 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ, ᲤᲘᲚᲛᲛᲐ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘ“ ᲐᲘᲦᲝ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ „ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐᲡ“. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ �გᲘᲝᲠგᲘ �პᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ?

გიორგი პაპაშვილი 1898 წლის 23 აგვისტოს დაიბადა სოფელ კობიაანთკარში, ვანო და იამზე პაპაშვილების ოჯახში. ჯერ კიდევ პატარას, დედა გარდაეცვალა. უსახსრობის გამო, მამამ მისი სკოლაში შეყვანა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, ტყავზე მუშაობა და ხანჯლების კეთება შეასწავლა. სრულიად ახალგაზრდა I მსოფლიო ომში წავიდა. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, გიორგი ისევ ჯარში მსახურობდა და რუსული არმიის ნაწილთან ერთად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. იქვე დარჩა კიდეც. სად აღარ მუშაობდა: თხრიდა ჭებს, ტაქსის მძღოლიც იყო და ტახებზეც კი ნადირობდა ანატოლიის ველებზე. შემდეგ მოახერხა ვიზის შოვნა და ამერიკაში ჩასვლა. რამდენიმე დღე სიმონ სიდამონ-ერისთავის ოჯახთან ერთად, ნიუ-იორკში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და შემდეგ კალიფორნიას მიაშურა. მისი ამერიკული ცხოვრება ჭურჭლის მრეცხავობით დაიწყო, მზარეულიც იყო, მუშაობდა ლითონჩამომსხმელ საამქროში. ერთხანს ჰოლივუდშიც კი მოღვაწეობდა.

რამდენიმეწლიანი ხეტიალის შემდეგ, გიორგი პაპაშვილმა ცოლად ამერიკელი მწერალი ქალი ჰელენ უაიტი შეირთო. მათ პენსილვანიის შტატში პატარა ფერმა იყიდეს და გიორგიმ ხვნა-თესვას მიჰყო ხელი. თავისუფალ დროს კი ნოველებს წერდა.

1938 წელს გიორგი პაპაშვილმა და ჰელენ უაიტმა დაწერეს ავტობიოგრაფიული ნოველების კრებული „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („Anything Can Happen“). თხზულება 1945 წელს გამოიცა და ნამდვილ ლიტერატურულ სენსაციად იქცა – 1.5 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა მთელ მსოფლიოში, ითარგმნა დაახლოებით 20 ენაზე (მათ შორის, იაპონურად, ჩინურად). ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამერიკელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებში. აქვე გეტყვით, რომ წიგნი 1965 წელს თბილისშიც დაიბეჭდა სათაურით „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

1952 წელს გადაღებულ ფილმში ეპიზოდური როლი წიგნის ავტორმაც შეასრულა. ფილმში გამოყენებულია ქართული სიმღერები, მელოდიები, ცეკვები. გარდა ამისა, ფილმის ტექნიკური დირექტორი იყო ლადო ბაბიშვილი, მუსიკა შექმნეს კომპოზიტორებმა იუნგიმ და ალექსანდრე ფუტკარაძემ.

გიორგი პაპაშვილისა და ჰელენ უაიტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წიგნები: „ჰო და არა“, „შინისაკენ, კვლავ შინისაკენ“, „ქართულ-რუსული კულინარია“, „მადლობა ნოეს“, „ძაღლი და ადამიანი“.

გიორგი პაპაშვილი ქანდაკებების შექმნითაც იყო დაინტერესებული. მართალია, მას აკადემიური სამხატვრო განათლება არ მიულია, მაგრამ შესანიშნავი თვითნასწავლი შემოქმედი იყო, მუშაობდა ხესა და ქვაზე. საინტერესოა, რომ ნამუშევრებს, თავის ინიციალებს არასდროს აწერდა, რადგან, მიაჩნდა, რომ „ხელმოწერა თავად ხელოვნების ნიმუშშია“. მან 600-ზე მეტი შესანიშნავი ნამუშევარი შექმნა.

მასზე, როგორც მოქანდაკეზე, დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს – „Beauty in Stone“ – „სილამაზე ქვაში“.

1979 წელს პენსილვანიაში გამოიცა მისი სკულპტურული ნამუშევრების ალბომი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშიც დაცულია პაპაშვილის ერთ–ერთი საუკეთესო ნამუშევარი – „რაში“.

გიორგი პაპაშვილის სახელი შეტანილია გამოცემებში: „ვინ ვინ არის ამერიკულ ხელოვნებაში“ და „ვინ ვინ არის XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში“. მისი არქივი დაცულია პენსილვანიის შტატის ლიჰაის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. 1961 წელს გიორგი პაპაშვილი მეუღლესთან ერთად ეწვია საქართველოს, მოინახულა მშობლიური სოფელი, ახლობლები, შეხვდა ქართველ მწერლებს.

გიორგი პაპაშვილი 1978 წელს გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.

თენგიზ ჩოგანიძე

ᲗᲣᲙᲘᲓᲘᲓᲝ ᲐᲗᲔᲜᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔᲛᲓᲔ!..

(ᲛᲔᲠᲔᲥᲕᲡᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

თუკიდიდეს „ისტორიაში“ აღწერილი დაავადება საოცრად ახლოს დგას იმ საშინელებასთან, რომელიც კორონავირუსის (ლათინური სიტყვა VIRUS-შხამი) სახელწოდებით აზანზარებს მთელ მსოფლიოს. ძვ.წ. V საუკუნეში ათასობით ადამიანის შემმუსვრელი ეპიდემია, საეჭვო არ არის, რომ კორონას მონათესავე „შხამის“ მატარებელი იქნებოდა. თუკიდიდეს აღწერილი ავადმყოფობა, ამგვარი ვარაუდის დაშვებას არ გამორიცხავს.

ბერძენ-რომაელ ისტორიკოსთა თხზულებებში მრავლად გვხვდება მოარულ სენთა მძვინვარების მაუწყებელი პერიოდები. იმპერიის ხანაში დაავადების კერას აღმოსავლეთი წარმოადგენდა. გამავრცელებლები იყვნენ რომის ლეგიონერები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ კონტინენტიდან კონტინენტზე და გადაჰქონდათ ვირუსი. ეპიდემიებს ათასობით ადამიანები ეწირებოდნენ. წყაროების მოწმობით არმიაში გავრცელებულმა შავმა ჭირმა, 180 წელს მოუსწრაფა სიცოცხლე იმპერატორ მარკუს ავრელიუსს (121-180), ანტიკურობის უკანასკნელ დიდ ფილოსოფოსს. რომის იმპერია ხშირად იდგა მოარული დაავადებების პირისპირ. ცნობილია, რომ 270 წელს ეპიდემიამ იმსხვერპლა იმპერატორი კლავდიუსი. ბერძენ-რომაელ ავტორთა ქრონიკებში მრავლად გვხვდება მოარულ დაავადებათა აფეთქების ფაქტები. მიუთითებენ მსხვერპლთა დიდ რიცხვსაც, მაგრამ თუკიდიდეს აღწერილ რეალობას ვერც ერთი ვერ შეედრება.

თანამედროვე მედიცინის გიგანტური დონე მტკიცე კედლად აღიმართა „შავ ჭირსა“ და ადამიანს შორის. ამის მიუხედავად, მოარული სენი დღესაც უდიდეს საშიშროებად რჩება. უნდა წარმოვიდგინოთ, რა დღეში იქნებოდნენ ძვ.წ. V საუკუნეში მცხოვრები ადამიანები, მარტოოდენ ღვთის წყალობას მინდობილები რომ ებრძოდნენ უცნობ დაავადებას, რომლიდანაც მხოლოდ ერთეულები (თუკიდიდეს მსგავსად) აღწევდნენ თავს.

განსაკუთრებით საგულისყუროა თუკიდიდეს დაკვირვება, დაავადება ვინც გადაიტანა, ხელმეორედ არ ემართებოდათო, როგორ ახსნის თანამედროვე მედიცინა? მიახლოებით მაინც თუ შეესაბამება სინამდვილეს?

ძველი საბერძნეთის ისტორიის შეუდარებელი მემატიანე თუკიდიდე იმდენად სრულყოფილად აღწერს ათენში დატრიალებულ ტრაგიკულ სცენებს, რომ მის მიერ დაფიქსირებული დაავადება, თავისუფლად შეიძლება გვერდით დავუყენოთ კორონავირუსის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებს.

ᲒᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲘᲐ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

P.S. **ᲛᲗᲔᲚᲘ** მსოფლიო ხმალამოწვდილი აღდგა იმ დაავადების მონათესავე ვირუსის წინააღმდეგ, რომელმაც თავის დროზე ჭექა-ქუხილის დაუნდობლობით გადაუარა ელინურ სამყაროს.

უდიდესი იმედის მომცემია ჰიპოკრატეს ფიცის უერთგულეს ქართველ ექიმთა გმირული შემართება, რომლებიც ფრონტის წინა ხაზზე უშიშრად იბრძვიან ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ამ კუთხით მათი საქმიანობა (ა. გამყრელიძე, პ. იმნაძე, თ. ცერცვაძე და სხვ.) ქებათა-ქებას იმსახურებს და იმედია, თავდადებული გარჯა სასურველად დამთავრდება. როგორც ვხედავთ, ერთიანულ ენერგიას საკმაოდ რთული პრობლემების გადაჭრა შეძლებია.

გ. ძ.

ᲒᲐᲔᲠᲝ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲒᲐᲔᲠᲝ რელიგიურ ლიდერებს პანდემიასთან ბრძოლაში დახმარებას სთხოვს. როგორც ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტიერიშემა განაცხადა, რელიგიურ ლიდერებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ პანდემიასთან ბრძოლაში. კერძოდ, საუბარია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გავრცელებაზე, რაშიც გაეროს რელიგიური ლიდერების იმედი აქვს. „ვინაიდან ჩვენ დეზინფორმაციის გავრცელებას ვებრძვით, მოვუწოდებ რელიგიურ ლიდერებს, გამოიყენეთ თქვენი საკომუნიკაციო საშუალებები, რათა მხარი დაუჭიროთ მთავრობას და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები უფრო ფართოდ გავრცელდეს. აუცილებელია, რომ სოციალური დისტანცია და ჰიგიენა დაცული იყოს რელიგიურ ცერემონიებზეც“, – განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

გუტიერშმა ასევე მოუწოდა რელიგიურ ლიდერებს, ებრძოლონ ცრუ და ყალბ ინფორმაციას, ასევე ქსენოფობიას, რასიზმსა და დისკრიმინაციის ნებისმიერ სხვა ფორმას. მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მიუღებელია.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გუნდუზ გაშან ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გუნდუზ გაშან ოღლი (პ/ნ 20001002512), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 37-ე ქ. №12

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თელავი, ს. ყარაჯალა (საკადასტრო კოდი: 53.10.38.266https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48498.56 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 28 მაისი, 16:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65861720;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658617

6. **მოვალე:** გუნდუზ გაშან ოღლი (პ/ნ 20001002512), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 37-ე ქ. №12;

ნათიკ გაშან ოღლი (პ/ნ 20001062881), თელავი, სოფელი ყარაჯალა;

ნასიბ ისაევს (პ/ნ 20001049822), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 35-ე ქ. №84

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65861720; ლოტის ნომერი: 658617).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 28 მაისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს პაატა კუტავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** პაატა კუტავა (პ/ნ 42001010340), ქ. ფოთი, გ. სააკაძის ქ. №49

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, გ. სააკაძის ქ. №49 (საკადასტრო კოდი: 04.01.18.056https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31739.52 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 28 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65858020;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658580
6. **მოვალე:** პაატა კუტავა (პ/ნ 42001010340), ქ. ფოთი, გ. სააკაძის ქ. №49.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65858020; ლოტის ნომერი: 658580).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 28 მაისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელდარ კულიევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელდარ კულიევი (პ/ნ 36001026654), საგარეჯო, ს. ლამბალო

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, ს. ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.52.613 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 157343.79 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 28 მაისი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65860920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658609
6. **მოვალე:** ელდარ კულიევი (პ/ნ 36001026654), საგარეჯო, ს. ლამბალო;
ქიამანდარ კულიევი (პ/ნ 36001006625), საგარეჯო, ს. ლამბალო;
მამად ისაევი (პ/ნ 36001036492), საგარეჯო, ს. ლამბალო, პირველი 9 ჩიხი №2.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65860920; ლოტის ნომერი: 658609).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 28 მაისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ორუჯ ხალილოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, ს. ლამბალო, 21-ე ქ. №35 (საკადასტრო კოდი: 55.21.53.042https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 65639.69 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 28 მაისი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65861120;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658611

6. **მოვალე:** ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23;
სუბხან ხალილოვს (პ/ნ 36001031064), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქ. №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65861120; ლოტის ნომერი: 658611).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 28 მაისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ამირან ქარუმ ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამირან ქარუმ ოღლი (პ/ნ 24001013282), კასპი, ს. ფერმა, მე-9 2 შეს. №7

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
კასპი, ს. ფერმა (საკადასტრო კოდი: 67.06.35.061 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 76629.21 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 28 მაისი, 15:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65861620;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658616
6. **მოვალე:** ამირან ქარუმ ოღლი (პ/ნ 24001013282), კასპი, ს. ფერმა, მე-9 2 შეს. №7;
ჯემალ ქარუმ ოღლის (პ/ნ 24001001069), კასპი, ს. ფერმა, მე-17 ქ. №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65861620; ლოტის ნომერი: 658616).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 28 მაისის 10:00 საათამდე.

◎ ტრიუმფატორები

39 წელი დიდი გამარჯვებიდან

1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის „კარლ ცაისი“ 2:1 დაამარცხა და ევროპულ თასს დაეუფლა – გუშინ ამ გამარჯვებიდან 39 წელი შესრულდა.

მეტოქის რიგებში 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების 9 ყოფილი თუ მოქმედი კანდიდატი თამაშობდა. გერმანელებმა ფინალამდე დაამარცხეს იტალიის „რომა“ (0:3, 4:0), ესპანეთის „ვალენსია“ (3:1, 0:1), უელსის „ნიუპორტი“ (2:2, 1:0), ნახევარფინალში კი პორტუგალიის წარმომადგენელს ლისაბონის „ბენფიკას“ სძლიეს (2:0, 0:1).

ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით, თბილისელებმა ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარეს. ჯერ გზიდან საბერძნეთის „კასტორია“ (0:0, 2:0) ჩამოიშორეს, შემდეგ ირლანდიური „უოტერფორდი“ (1:0, 4:0), ინგლისის „ვესტ ჰემი“ (4:1, 0:1), ხოლო ნახევარფინალში – ნიდერლანდების „ფეიენოორდი“ (3:0, 0:2)

თამაში თბილისელთათვის არასასურველი სცენარით დაიწყო. 63-ე წუთზე გერმანელები გერჰარდ ჰოპემ დააწინაურა – 0:1. თბილისელებმა მეტოქის სტადიონზე ფაქტობრივად გერმანული ხასიათი აჩვენეს და წონასწორობა მალე აღადგინეს. 67-ე წუთზე რამაზ შენგელია ორ მეტოქეს გასცდა და ვლადიმერ გუცაევი მოძებნა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა – 1:1. 87-ე წუთზე კი გადამწყვეტი გოლი გავიდა. დავით ყიფიანმა ვიტალი დარასელიას საჯარიმოსკენ ბურთი გააყოლა, თბილისელთა ნახევარმცველმა ორი მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა და „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი გახდა – 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ ფორმულა-1

შეიძლება, იანვარში...

ფორმულა 1-ის მფლობელ კომპანია „ლიბერტი მედიას“ შეფი ჩეიზ ქერი არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ფ1-ის 2020 წლის სეზონის ბოლო რბოლა იანვარში გამართოს. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები, გუნდები და FIA კალენდრის შეცვლილ ვერსიაზე მუშაობას აგრძელებენ და სხვადასხვა შანსს განიხილავენ. ამჟამად განიხილება ვარიანტი, რომლის შესაბამისადაც სეზონი შუა დეკემბერში უნდა დასრულდეს.

„ლიბერტი მედიას“ ინვესტორთა წინაშე ჩართვისას ქერიმ განმარტა, თუ რა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს სეზონის იანვარში გადასვლა: **„ჩვენი მიზანი ისაა, რომ ჩემპიონატი დეკემბერში დავასრულოთ. დეკემბრის მეორე ნახევარში და არა დასაწყისში, როგორც კალენდრის პირვანდელ პროექტში გვქონდა. სავარაუდოდ, 13-14-ში. მაგრამ ჯერ განვიხილავთ და ვფიქრობთ, როგორ აჯობებს.**

სეზონის იანვარში დასრულება ვარაუდია. ჩვენ შეიძლება ასეც გავაკეთოთ, მაგრამ ვფიქრობ, თუ შესაძლებელია, დეკემბერში დასრულება სჯობს. კარგი იქნება, თუ სეზონებს შორის ხანგრძლივი ინტერვალი გვექნება. ყველაფერს ჩვენს პრომოუტერებთან და პარტნიორებთან განვიხილავთ და როგორც უმჯობესი იქნება, ისე გადავწყვეტთ“, – ამბობს ქერი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიადის გმირები

ჩემპიონთა ჩემპიონი

არაერთხელ მსმენია, ხშირად დროს უსწრებდა და ისეთ წარმატებებს მიაღწია, ჩვეულებრივი მოკვდავის ძალებს რომ აღემატება. სახელოვან ქართველ ფალავან რომან რურუაზე მოგახსენებთ.

მართლაც საოცარია: 1968 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულმა 1964 წლის თამაშებზე ტოკიოში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა სამ-სამჯერ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები და საკავშირო ჩემპიონატები მოიგო. იყო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს და საკავშირო ნაკრები გუნდების კაპიტანი და მწვრთნელი, საქართველოს პარლამენტის წევრი. სპორტის დამსახურებული ოსტატი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით.

„როცა საქმე მოითხოვს, ორგანიზმს ავალდებულებ, შენს ჭკუაზე მოიქცეს, ასე ვთქვათ, აღანთებ და სტიმულს აძლევ, რომ დაიქოქოს“, – მითხრა ერთხელ სახელოვანმა მორკინალმა, რომელიც მთელი სასპორტო კარიერის განმავლობაში (მერეც) საკუთარ სხეულს მართავდა,

მისი სასპორტო კარიერა მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში დაიწყო, სადაც მდინარე აბაშის ნაპირას, ჭალაში, ბიჭებთან ერთად დილიდან საღამომდე ჭინჭებით გატენილ რეზინის ბურთს დასდევდა. 1955 წელს თბილისში ჩამოიყვანეს და „ნორჩ დინამოელში“ გრიშა გაგუასთან დაიწყო ვარჯიში.

„ურიგო პერსპექტივა არ მქონდა, მეც არაფერს ვიშურებდი, იმის მიუხედავად, რომ ხელმოკლედ ვცხოვრობდი და სავარჯიშოდ ნახევრად მშიერ-მწყურვალი მივდიოდი. სხვაგვარად წინსვლა წარმოუდგენელი იყო“, – იტყვის მოგვიანებით ბატონი რომანი.



ფეხბურთიდან ჭიდაობაში

„ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა ილია ტულუშმა ჭიდაობის სამყაროსთვის ცნობილ „პეტრეს დარბაზში“ წამიყვანა. მონუსხული ვიდექი დარბაზის კუთხეში. საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნერსეს აკოფოვმა ხალიჩაზე მიხმო და... მას მერე ფეხბურთისკენ აღარც გამიხედავს“...

1961 წელს თბილისში გაიმართა გუნდური საკავშირო პირველობა. რომან რურუა საქართველოს ნაკრებში მერაბ ღუდუშაურის რეკომენდაციით ჩარიცხეს. ფაქტობრივად, წინა წლის საკავშირო ჩემპიონატის გამარჯვებულმა თავისი ადგილი დაუთმო.

დებიუტანტმა უფროსი მეგობარი არ გააწბილა: ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა საქვეყნოდ აღიარებული ფალავნები, მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონი ოლეგ კარავაევი, მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ სტაშკევიჩი, ზუბკოვი და სხვები. ასე გაეხსნა გზა საერთაშორისო სარბიელისკენ.

– საკავშირო ნაკრებისკენ მიმავალ გზაზე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების მთელი ხერგილების გადალახვა მომიხდა, – ამბობს ბატონი რომანი. – **ჩემს წონაში მაშინ შეუდარებელი „კლასიკოსები“ გამოდიოდნენ. ყველას ვუგებდი. თუ გინდათ, ტრაბახად ჩამითვალეთ: ჩემპიონი ვიყავი ჩემპიონთა შორის.**

მსაჯებს ჩოქბჯენი „გამორჩათ“

„1964 წელს ტოკიოში ოლიმპიურ თამაშებზე ვიჭიდავე. მსაჯების უსამართლობას რა ვუთხარი, თორემ იაპონიიდან ოლიმპიური „ოქრო“ უნდა ჩამომეტანა. ფინალამდე ყველა მეტოქე დავამარცხე, მათ შორის - რომის ოლიმპიური ჩემპიონი თურქი მუზახირ სილე, რომელიც ორჯერ დავაწვინე „სუფთაზე“.

გადამწყვეტ პაექრობაში განთქმულ უნგრელ მოჭიდავეს, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ იმრე პოიაკს შევხვდი. მეტოქე ნაკლები საჯარიმო ქულებით გავიდა ფინალში და ჩემპიონობისთვის ფრეც ხელს აძლევდა. ყველაფერი იღონა საამისოდ არბიტრების დახმარებით. სამჯერ გადავიყვანე ჩოქბჯენში, თუმცა, მსაჯებმა ერთხელაც „ვერ შენიშნეს“.

გული მაინც არ მწყდება. პოიაკზე ალალი იყო ოქროს მედალი. მან ტოკიომდე სამჯერ იასპარეზა ოლიმპიადებზე. ჰელსინკიში, მელბურნსა და რომში მეორე ადგილებით დაკმაყოფილდა. მეოთხე ცდა მაინც ხომ უნდა დაგვირგვინებულიყო ოქროთი. ამიტომაც თანაუგრძნობდნენ მას არბიტრები. არც მიკვირს. სხვათა შორის, იმრე ტოკიოს ოლიმპიურ სოფელში მოვიდა ჩემთან, მომიბოდიშა და მითხრა: შენ მომავალი ხარ, ჩემპიონი აუცილებლად გახდებიო.

1968 წელს მეხიკოში ოლიმპიური თამაშების მოგების შემდეგ ნება დამრთეს, 68 კილოში მეჭიდავა, მაგრამ 1969 წელს არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატას მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ისევ 62 კილოს დავუბრუნდი. წონის დაკლება გამიჭირდა. თითქმის მთელი ღამე ორთქლის აბანოში გავატარე და ჩემსას მაინც მივაღწიე – ჩემპიონი გავხდი... სტარტზე დასავლეთგერმანელ ვერნერ პეტიშს შევხვდი. ორთაბრძოლის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ნაკრების მწვრთნელმა კოლესოვმა დამიყვირა, „ცხრა ქულას აგებ და, აბა, შენ იციო“. საკუთარ თავზე გაბრაზებული პეტიშს წელში შევუვარდი და ერთ წუთში ცხრა ქულა ავართვი. საბოლოოდ 16:9 ვძლიე“...

წაგება რომ არ შემიძლია?!

1971 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის რომან რურუა მინსკში ემზადებოდა. ერთ დღეს ხერხემლის გაუსაძლისი ტკივილით მოსკოვის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც ქართველთა დელეგაცია ეწვია.

„ქუჩაში რომ გამიყვანეს, ვიკითხე, სად მიგყავართ-მეთქი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით სპარტაკიადაზე უნდა იჭიდაოო, მიპასუხეს. ხედავდნენ, რომ ვკვდებოდი, მაგრამ არავის შევბრალებივარ.

სპარტაკიადის შტაბში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ მომახარა – შენი ჭიდაობა მოგვენატრაო. რა ჭიდაობა, ბატონო, ხომ ხედავთ, სიმწრისგან ვიკრუნჩხები-მეთქი.

– ეგ არაფერია, ტკივილს გაგიყუჩებთ, საქართველოსთვის უნდა იბრძოლო, თანაც უფრო მაღალ წონაში. წააგე, ბატონო, თანაც ორჯერ წააგე. არაფერს გეტყვით, – არ ცხრებოდა სიხარულიძე.

– მერე, წაგება რომ არ შემიძლია, რა ვქნა? – მეც ჩემებურად შევუტიე.

– ჰოდა, ეს რომ ვიცით, იმიტომაც გთხოვთ, რომ იჭიდაო, – დაუმატა ცეკას მდივანმა დევი სტურუამ“...

სხვა გამოსავალი რომ არ იყო, რომან რურუამ ჩვეული სტიქიით იბრძოლა ხალიჩაზე – შვიდ მეტოქეს სძლია და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი მესამედ გახდა.

პაექრობების დამთავრებისთანავე საავადმყოფოში დააბრუნეს. მომჯობინების მერე რომ ნახა, უწინდებურად ჭიდაობა აღარ შეეძლო, რაც მის მრწამსს ეწინააღმდეგებოდა, დიდ სპორტთან განშორება გადაწყვიტა.

თქვა და წავიდა.

საოცარი პიროვნებაა ოლიმპიური ჩემპიონი. მაშინ, როცა მთელი საქართველო ქალაქისკენ გარბის, რომან რურუა დიდი ხნის წინათ მთელი ოჯახით სოფელში – მცხეთის რაიონის ღართისკარისხევში გადასახლდა, ლამის უკაცრიელი ადგილი წალკოტად აქცია: მოვლილ-დავარცხნილი ეზო-კარი აქვს ყველა სახეობის ხილითა და ბოსტნეულით, ყველა სახეობის შინაური ფრინველი და საქონელი ჰყავს. მთავარი და უპირველესი – ყველაფერი საკუთარი ხელით, გარჯით შექმნა. საქვეყნო საქმეს, ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებსაც არ ივიწყებს – ხალიჩაზე შეუდარებელი მორკინალი სიკეთის თესვასა და ადამიანურ ურთიერთობებშიც გამორჩეულია.

სახელოვანი ფალავანი ყოველთვის მხარს უჭერს იმ ინოვაციებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას უწყობს ხელს. ერთ-ერთ ასეთ სიახლედ მიაჩნია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ პაატა გიორგაძის პროექტი „ქართული ეკონომიკური საოცრება“. მეცნიერის გათვლებით, სასმელ წყალს თუ პროდუქტად ვაქცევთ, ეს იქნება ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის უმოკლესი გზა, რადგან გაყიდული საქონლის ყოველწლიური შემოსავალი 12 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბებს. იმედია, ამ პროექტს სახელმწიფოც გაითვალისწინებს და მხარს დაუჭერს.

ვაჟა დანელია

სანთელი

თეიმურაზ კვესიტაძე



76 წლის ასაკში გარდაიცვალა **თეიმურაზ ივანეს ძე კვესიტაძე.**

თეიმურაზ კვესიტაძე დაიბადა 1943 წლის 7 დეკემბერს პროფ. ივანე კვესიტაძისა და მარიამ გამილაღდიშვილის ოჯახში.

1967 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1969 წელს ჩააბარა ასპირანტურაში, დაიცვა დისერტაცია ონკო-გინეკოლოგიაში და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. ამასთან, ის იყო სპორტსმენი, ხელბურთელი და თავის დროზე საქართველოს ლეგენდარულ ნაკრებში თამაშობდა.

1971-1981 წლებში თეიმურაზ კვესიტაძე სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ალჟირში. 1985 წელს მუშაობა დაიწყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში და ხანგრძლივი სამუშაო მივლინებებით იმყოფებოდა შვეიცარიაში, სამხრეთ კორეაში, ინდოეთში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზ კვესიტაძემ მოღვაწეობა განაგრძო თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში. იყო მრავალი მეტად აქტუალური ნაშრომის ავტორი, მისი ხელით ვერაგი დაავადებისგან უამრავი ადამიანი განიკურნა.

ის იყო შესანიშნავი მეოჯახე, მოსიყვარულე მეუღლე და ორი შვილის არაჩვეულებრივი მამა.

უკეთილშობილესი ადამიანისა და მაღალპროფესიონალი ექიმის თეიმურაზ კვესიტაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, კოლეგებისა და მადლიერი პაციენტების გულებში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება;
საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორ ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, მედიცინის დოქტორი, გამოჩენილი ონკოლოგ-გინეკოლოგი, საუკეთესო მეგობარი

თეიმურაზ კვესიტაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ლუიზა და როინ მეტრეველები თანაუგრძნობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს გიორგი კვესიტაძეს ძვირფასი ძმის, პროფესორ

თეიმურაზ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო.

გურამ, ამირან და ირაკლი ქაშაკაშვილები სამძიმარს უცხადებენ გიორგი კვესიტაძეს ძმის, გამოჩენილი მკურნალისა და მეცნიერის

თეიმურაზ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

თამაზ შილაკაძე ოჯახით უსამძიმრებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს გიორგი კვესიტაძეს ძმის

თემურ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო.

„საქართველოს კულტურის ფონდი“ ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს გიორგი კვესიტაძეს ძმის, მედიცინის დოქტორის, პროფესორის, გამოჩენილი ონკოლოგ-გინეკოლოგის

თემურ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები უსამძიმრებენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს ძმის, მედიცინის დოქტორის, გამოჩენილი ონკოლოგ-გინეკოლოგის, პროფესორ

თემურ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.



თბილისის საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ და საქართველოს ვეტერან ჩოგბურთელთა ფედერაციის წევრები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ნაღდი, უღალატო, კოლორიტული თბილისელის, მედიცინის პროფესორის, ტექნიკური მოყვარული ჩოგბურთელის, საზოგადოებისა და საჩოგბურთო სამყაროს დამამშვენებელი პიროვნების, ჩვენი უსაყვარლესი მეგობრის, ბატონ

თემურ კვესიტაძის

მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ამ დიდ მწუხარებაში თანავუგრძნობთ მის დიდ ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, სამეზობლოსა და კოლეგებს.

კლუბ „დინამოსა“ და ფედერაციის წევრების სახელით: მირიან ანდრიაძე, მიხეილ ესაკია, გივი სიხარულიძე, ზაზა ბოკერია და ლადო პაპავა.

ნ. ჟვანიას №4-ის (კეკელიძის №64) მცხოვრებლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

თემურ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

თამაზ ჩხიკვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

თემურ კვესიტაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გურამ ქაშაკაშვილი სამძიმარს უცხადებს ვაჟა ლორთქიფანიძეს ძმის

გიორგი ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

შალვა მგალობლიშვილი, გურამ ქერაშვილი, ოთარ ქაჯაია, გიკა საყვარელიძე, ვაჟა სირაძე, გივი ცანავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სტუდენტობის მეგობარი, უსაყვარლესი და უღალატო კაცი

თემურ კვესიტაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი

14 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საქართველოს წმიდა კეთილმსახური მეფის, საქართველოს მნათობის თამარის ხსენებას.

აღსანიშნავია მონარქთა შორის გამორჩეულის, „დედოფლის დედოფალთასა“, „მზეთა მზის“, „შარავანდედთა შორის უმეტესად აღმობრწყინვებულის“ — თამარის მეფობის დიდებით, გამარჯვებებით, აღმშენებლობით და მოღვაწეობით, უძილო ღამეებით და ცრემლიანი ლოცვებით აღსავსე გზა... ღვთისმოყვარე მეფემ სამეფო კარისთვის აუცილებელი წესი დაადგინა: თვითონაც პალესტინის მონასტერთა ტიპიკონით ლოცულობდა და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვდა... გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველმა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია ქართველთა სათაყვანებელ მეფეს...

საიდუმლოებით მოცული თამარ მეფის საფლავის ლეგენდებით დაკმაყოფილება ერგო ქართველს ერს.

გიული ლიპარტია

ჩინურ ტესტებს ჰოლანდიურად ასაღებდნენ



ჰოლანდიური წარმოების 30 ათასი სწრაფი ტესტი, რომლებიც ჩინური აღმოჩნდა, ჯანდაცვის სამინისტრომ აღარ შეიძინა. ინფორმაციას სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესყიდვის ხელშეკრულება შეუსაბამო ხარვეზის აღმოჩენისთანავე შეწყდა.

„ტესტები ნაყიდი არ არის. შეუსაბამო ხარვეზი დროულად აღმოჩნდა და ხელშეკრულება მანამდე გაწყდა, ვიდრე ვიყიდდით“, — აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში.

ცნობისთვის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 24 აპრილის ხელშეკრულებით 30 ათასი სწრაფი ტესტი უნდა შეეძინა. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას სამინისტროსთვის ჰოლანდიური მწარმოებელის 930 000 ლარის ღირებულების ტესტები უნდა მიეწოდებინა.

თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ტესტები სინამდვილეში არა ჰოლანდიაში, არამედ ჩინეთშია შექმნილი.

„ჯერ არ გვაქვს წამალი, რომელიც მოკლავს COVID19-ს“

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ამბობენ, რომ ამ დრომდე არ არსებობს კონკრეტულად ერთი წამალი, რომელიც კლავს ვირუსს, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში არის რამდენიმე წამალი, რომელიც ზღუდავს ვირუსს, ავადობის ხანგრძლივობას და ვირუსით გამოწვეულ სიმძიმეებს ამსუბუქებს.

„ჩვენ ვიღებთ პოზიციურ მონაცემებს, მაგრამ ჩვენ გვჭირდება მეტი დასტური იმისთვის, რომ წამალი ან ვაქცინა 100% ეფექტურია“, — განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პრესსპიკერმა მარგარეტ ჰარისმა.

ჰარისს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი ვაქცინისა და წამლის შესახებ საუბრობდა. თუმცა, აქამდე ცნობილია, რომ ამერიკული კომპანია გილეადის მიერ შექმნილი პრეპარატი „რემდესივირი“ აჩვენებს დადებით ეფექტებს კოვიდ-19-თან ბრძოლაში. **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ფიქრობენ, რომ კორონავირუსი რთული ვირუსია და მათ საწინააღმდეგოდ ვაქცინის წარმოება გაცილებით რთულია.**

ეს თუ საქართველოს გამოუვიდა, ის მსოფლიო ტურიზმის ბაზარს დაიპყრობს!

„საქართველო მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიისთვის ძლიერ დარტყმას ამზადებს“, — ამ სათაურით აქვეყნებს ერთ-ერთი რუსული გამოცემა სტატიას საქართველოზე და წერს, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, 1 ივლისიდან საერთაშორისო საზღვრების გახსნა უცხოელი ტურისტების მოსაზიდად, პირდაპირი და ძლიერი დარტყმა იქნება სხვა ქვეყნებისთვის. სტატიაში ნათქვამია, რომ ვერავინ ვერ იფიქრებდა, ისეთი პატარა სახელმწიფო, როგორიც საქართველოა, ასეთ წარმატებას თუ მიაღწევდა კორონავირუსთან ბრძოლაში.

სტატიაში, სადაც ძირითადი აქცენტი მიმართულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასა და მასში საქართველოს როლზე, წერია, რომ ქვეყანა დღესაც მზად არის მიიღოს იმაზე მეტი ტურისტი, ვიდრე საქართველოს მთლიანი მოსახლეობაა. მოცემულია სტატისტიკა წინა წლებთან შედარებით და განმარტებულია, რომ 2019 წელს ქვეყანში 1,9 მლნ. ტურისტი იმყოფებოდა. აქვე ნათქვამია, რომ რეგიონს ზამთრის ტურისტული სეზონი კორონავირუსის პანდემიის გამო ჩაუვარდა, თუმცა ქვეყანა მაქსიმალურ ძალ-ღონეს არ იშურებს და ახალი სეზონისთვის ემზადება.

„წელს საქართველო პოზიციონირდება, როგორც უსაფრთხო დანიშნულება. ახალ, უსაფრთხო დონეზე გადაიყვანენ არა მარტო გამშვებ პუნქტებს, აეროპორტებს, სასტუმროებს, არამედ ყველა სანატორიუმს, ტურისტულ ბაზებს და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ჩასულ ტურისტს არ ექნება არანაირი შანსი, დაავადდეს იმით, რასაც დღეს მთელი მსოფლიო ებრძვის.

მთავარი კი ისაა, რომ საქართველო სერიოზულად შეავიწროვებს მსოფლიო ტურიზმის გრანდებს — ესპანეთს, იტალიას, თურქეთს, საფრანგეთს — და დაიპყრობს ახალ ბაზრებს.

თუ ადრე საქართველო წარუმატებლად ცდილობდა ევროპულ ბაზარზე გასვლას, ახლა ვითარებამ თავად აჩუქა ეს შესაძლებლობა. საქმე ისაა, რომ ბევრი ქვეყანა, რომელიც უზარმაზარ ფულს აკეთებდა ტურიზმით, მინიმუმ წლის ბოლომდე პაუზას აიღებს“, — აღნიშნულია სტატიაში.

„ეს იქნება განსაკუთრებული სეზონი, თავისი ყველა ტრადიციული მიმართულებით, დაწყებული ისტორიული ადგილების მონახულებით და ღვინის დეგუსტაციით დასრულებული. მთავარი აქცენტი გაკეთდება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიმართულებით და ამ თვალსაზრისით ტურისტების მოზიდვაზე. საქართველოს მთავრობა ამ პერიოდში მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნებთან ავიამიმოსვლის აღდგენაზე და მათ შორის რუსეთის ფედერაციასთანაც. თუ საქართველოს ეს გამოუვიდა, ის არა მხოლოდ გადააჭარბებს წინა წლის რეკორდს, არამედ მას სერიოზულად გააუმჯობესებს. საქართველოს შეუძლია დაიპყროს ტურისტული მსოფლიო ბაზარი. ეს მისთვის ცხოვრების საჩუქარია“, — წერია გამოცემაში.

ავტორის განმარტებით, საქართველომ შექმნილი მდგომარეობიდან სწრაფად გამოსასვლელად ყველაფერი გააკეთა და გამოუვიდა კიდეც.

„ახლა მხოლოდ პლაკატების დაბეჭდვა დარჩათ წარწერით: Wellcome“, — აღნიშნულია გამოცემაში.

FORTUNAGE

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მსოფლიოს უხუცესი გეიმერი

90 წლის იაპონელი ჰამაკო მორი მსოფლიოს უხუცესი გეიმერი გახდა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მას თავისი YouTube არხი აქვს ფსევდონიმით Gamer Grandma (გეიმერი ბებია), რომელზეც ის სხვადასხვა თამაშების გავლის ვიდეოებს აქვეყნებს. მისი საყვარელი თამაშებია: Resident Evil 3, GTA 5, Call of Duty: Modern Warfare, Skyrim. მორის არხს 186 ათასი გამომწერი ჰყავს.

„როცა GTA-5-ს თამაშობ, ვერ ჩერდები, თითქოს ფილმს უყურებ“, — ყვება მორი, რომელსაც ამ თამაშის გრაფიკა და სიუჟეტი ძალიან მოსწონს. მისივე თქმით, ის დღეში 7-8 საათს თამაშობს და გეიმერობით უკვე 38 წელია გატაცებული.

კანადელებს უჭირთ პანდების გამოკვება

ბამბუკის სიმცირის გამო კანადის ზოოპარკი ორ პანდას ჩინეთში დააბრუნებს. როგორც ზოოპარკის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ჩვეულებრივ, პანდების გამოსაკვებად საჭირო ბამბუკს ჩინეთიდან იღებენ, მაგრამ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შეწყვეტილმა ფრენებმა მარაგების შეფერხება გამოიწვია.

ჩინეთსა და კანადას შორის გაფორმებული 10-წლიანი შეთანხმების საფუძველზე, ორი პანდა — ერ შან და და მაო, კანადაში 2023 წლამდე უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ ზოოპარკმა მათი სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, ვინაიდან კორონავირუსის პანდემიის მეორე ტალღის შემთხვევაში, ცხოველები საკვების გარეშე დარჩებიან. პანდების კვების რაციონი თითქმის მთლიანად ბამბუკისგან შედგება. ისინი ყოველდღიურად დაახლოებით 40 კგ ბამბუკს მიირთმევენ.

კორონავირუსისგან 113 წლის ქალი გამოჯანმრთელდა

ესპანეთში ყველაზე ხანდაზმული ადამიანი 113 წლის მარია ბრანიასი კორონავირუსისგან გამოჯანმრთელდა. მარია ბოლო 20 წელია ჟირონის პროვინციაში მდებარე მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს. აპრილში მას კორონავირუსი დაუდასტურდა. დაავადება მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობდა. მაისის დასაწყისში ექიმებმა განაცხადეს, რომ მარია სრულად განიკურნა.

ავადმყოფობის პერიოდში ის თავის ოთახში, იზოლაციაში იმყოფებოდა და მუდმივად ეკონტაქტებოდა თავისი ოჯახის წევრებს ტელეფონით. ხანდაზმულთა თავშესაფარში, სადაც მარია ცხოვრობს, კორონავირუსმა რამდენიმე ბენეფიციარი იმსხვერპლა. 2019 წლიდან მარია ბრანიასი ესპანეთში ყველაზე ხანდაზმულად მიიჩნევა. ის 1907 წელს დაიბადა ესპანელი ემიგრანტების ოჯახში ამერიკის ქალაქ სან ფრანცისკოში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ესპანეთში დაბრუნდა. 1931 წელს მარია გათხოვდა. მას სამი შვილი, 11 შვილიშვილი და 13 შვილთაშვილი ჰყავს. თავისი სიცოცხლის განმავლობაში მარიამ გადაიტანა ესპანური გრიპი 1918 წელს და სამოქალაქო ომი 1936-1939 წლებში.

მაკაკამ ბანკომატი გაძარცვა



ინდოეთის დედაქალაქ ნიუ-დელიში მაკაკამ ბანკომატი გაძარცვა. ბანკომატი შენობაშია განთავსებული და მისი გატეხვის შესახებ სამართალდამცველებს იქ მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლებმა შეატყობინებს. ბოროტმოქმედმა აპარატის გახსნა მოახერხა. პოლიციელებმა მისი ვინაობის დასადგენად კამერების ჩანაწერების ნახვა გადაწყვიტეს.

აღმოჩნდა, რომ დანაშაული მაიმუნმა ჩაიდინა. ის ბანკომატს ჩამოეკიდა, რის შემდეგაც აპარატი გაიხსნა. ამის შემდეგ ცხოველი ბანკომატის შიგთავსს აკვირდებოდა და დანაშაულის ადგილი დატოვა.

აბაზანა დათვისთვის

აშშ-ში ორეგონის ზოოპარკმა თავის ბინადარ დათვს სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო. ტელეკომპანია ABC-ს ცნობით, 10 წლის ტაკოდას უზარმაზარი აბაზანა გაუკეთეს, რომელშიც 1 135 ლიტრი წყალი ჩაეტია.

იმის ამსახველი ვიდეო, თუ როგორ ნებივრობს ცხოველი წყალში, სოციალურ ქსელებზე აიტვირთა და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2106; ევრო - 3.4742;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9587;
100 რუბლი - 4.3595; თურქული ლირა - 0.4537;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8835;
1000 სომხური დრამი - 6.6143.

ამინდი 14 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge